საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

გამოჩენილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, დიდი მოაზროვნე

ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, გამოჩენილი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და მოაზროვნის ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150 წლისთავი აღინიშნება 1994 წლის 17 სექტემბერს.

საიუბილეო საღამო გაიმართება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში.

იუბილეს დღეებში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამართავენ ერთობლივ სამეცნიერო სესიას.

ფოთის და სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტი, ფილოსოფიის ინსტიტუტი, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი მოაწყობენ გამსვლელ სესიას.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წარჩინებული ასპირანტებისათვის დაწესდება ნიკო ნიკოლაძის სახელობის ერთი პრემია.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო სასწავლო დაწესებულებებში მოაწყობს ნიკო ნიკოლაძისადმი მიძღვნილ სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციებს, საღამოებს. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყობა ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წინადადება თბილისში გალაკტიონ ტაბიძის ქ. 21-ში ნიკო ნიკოლაძის „სახლ-მუზეუმის შექმნის შესახებ.

საქართველოს მწერალთა კავშირი მის მიერ შექმნილი საიუბილეო კომისიის მეშვეობით, ახორციელებს საიუბილეო ღონისძიებებს.

ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150 წლისთავის რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.

იუბილეს ფართოდ აღნიშნავენ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 153 (955)
ოთხშაბათი, 31 აგვისტო, 1994 წელი.
ფასი 40000 კუპონი.

ფართოვდება საქართველო-რუმინეთის თანამშრომლობა

29 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო რუმინეთის მეწარმეთა დელეგაცია.

დელეგაციის ხელმძღვანელმა შტეფან კილარაუმ პრემიერ-მინისტრს მოახსენა იმ რეალური შესაძლებლობის შესახებ, რაც მან საქართველოში საწარმოთა დათვალიერებისა და მეწარმეებთან შეხვედრისას გაანალიზა. მან დელეგაციის სახელით განაცხადა, რომ მზად არის, მოამარაგოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოები ნედლეულით, ითანამშრომლოს ქართველ მეწარმეებთან, ბიზნესმენებთან, თუ ამ ურთიერთობის გარანტი სახელმწიფო იქნება და გაირკვევა საბაჟოს ტარიფები, რომ ეს თანამშრომლობა ორივე მხარისათვის სარფიანი იყოს.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, უახლოეს დღეებში რუმინეთიდან ჩამოვლენ ექსპერტები და რადგან თანამშრომლობის ხელშეკრულება ამ ორ ქვეყანას შორის დადებულია და იურიდიული საფუძველიც არსებობს, ერთ თვეში ცალკეულ საწარმოთა შორის კონტრაქტების დადება შეიძლება და თანამშრომლობაც დაიწყება.

სომხეთი შეუფერხებლად მიიღებს ჰუმანიტარულ ტვირთს

30 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ და საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა თამაზ ნადარეიშვილმა მიიღეს სომხეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი გაგიკ შახბაზიანი, სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ლევონ ხაჩატრიანი და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე სამველ სტეპანიანი.

საუბარი შეეხო ზამთრის პერიოდში ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან ჰუმანიტარული ტვირთის გადაზიდვას.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ სტუმრებს აღუთქვა, რომ ჩვენი რკინიგზა და ნავსადგურები მაქსიმალურად იქნება მობილიზებული, რათა ჰუმანიტარული ტვირთი შეუფერხებლად იქნეს მიწოდებული დანიშნულებისამებრ.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური — საქინფორმი.

პარლამენტი ბრძოლას უცხადებს კორუფციას

სექტემბერში, საქართველოს პარლამენტის პირველსავე სხდომებზე პარლამენტის იურიდიული კომისია დასამტკიცებლად წარმოადგენს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის კვლევის დროებითი საპარლამენტო კომისიის დებულებას. ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს 30 აგვისტოს გამართულ იურიდიული კომისიის გაფართოებულ სხდომაზე.

სხდომაზე განიხილეს კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო დაწესებულებათა შესახებ. თუ რა დიდი მნიშვნელობაც აქვს ამ კანონის მიღებას ჩვენი სახელმწიფოსათვის, იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში გაიხსნა საქართველოს საკონსულოები, ზოგიერთ მათგანში რამდენიმე საკონსულოც კი მოქმედებს. გადაწყდა, რომ, ვიდრე კანონპროექტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოიტანენ, მანამდე კიდევ ერთხელ განიხილავენ საგარეო საქმეთა კომისიასთან ერთად.

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ პირველად იწყებენ კონტროლს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების შესრულებაზე. ეს ეხება ემიგრაციის, იმიგრაციის, სახელმწიფო ხელისუფლების, პარლამენტის წევრის სტატუსის, პარლამენტის მუდმივი კომისიების, ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ კანონებს, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრების კომერციულ საქმიანობასთან შეუთავსებლობის საკითხს და სხვა.

სხდომაზე განიხილეს სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც.

საქართველოს დელეგაცია დაბრუნდა ეჩმიაძინიდან

დელეგაციაში შედიოდნენ პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, პარლამენტის წევრები, მინისტრები, ქართული სამღვდელოების წარმომადგენლები, გაზეთ „ვრასტანის" რედაქტორი ვან ბაიბურთი და სხვები.

აეროპორტში ჩვენს წარმომადგენლებს დახვდნენ სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბკენ არარქციანი, იერუსალიმელი მოსაყდრე, არქიეპისკოპოსი თორგომი, სხვა ოფიციალური პირები.

საქართველოს დელეგაციამ ვაზგენ პირველის საფლავზე მიიტანა გვირგვინები ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის სახელით.

პანაშვიდზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სახელმწიფო დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ლევონ ტერ-პეტროსიანმა. შემდეგ სიტყვა მიეცა ილია მეორეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაზგენ პირველი ყოველ ღონეს ხმარობდა ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის განსამტკიცებლად. და, თუ ვაზგენ პირველის სახით სომეხმა ხალხმა დაკარგა სულიერი მამა, ქართველმა ხალხმა დაკარგა სულიერი ძმა და მეგობარი.

საქართველოს დელეგაცია მიიღეს ლევონ ტერ-პეტროსიანმა და ბაბკენ არარქციანმა. გაიმართა საუბრები საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური, სულიერი, კულტურული და სხვა ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

სურათზე: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე და იერუსალიმელი მოსაყდრე, არქიეპისკოპოსი თორგომი.

ედუარდ შევარდნაძე:

მას შემდეგ, რაც თითქმის დამთავრდა რუსეთის ჯარების განლაგება შესაბამისი დასახლებული პუნქტებისა და მაგისტრალების მიხედვით, უკვე სავსებით შესაძლებელი, აუცილებელი და გარდაუვალია პრაქტიკული ნაბიჯები ლტოლვილთა დასაბრუნებლად.

29 აგვისტოს რადიოინტერვიუდან

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

მოსახლეობის სოციალური დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა, ფასწარმოქმნისა და საფინანსო სისტემის ძირეული რეფორმის დაჩქარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისული პროგრამის მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ვითარების გაუმჯობესების ამოცანებს არ შეესაბამება ხელფასებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების არსებული სისტემა. საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება უკიდურესად დაბალია, ენერგიისა და ზოგიერთი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ხელოვნურად შემცირებული ფასებისა და ტარიფების პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციების სახით გაიცემა მისი ხარჯების ნახევარზე მეტი ელექტროენერგიის, გაზისა და პურის ფასთა სხვაობის დასაფარად. ამგვარი, საბაზრო ეკონომიკისათვის გაუმართლებელი, პრინციპებით მოწყობილი ხელფასებისა და ფასების სისტემა ეკონომიკური და საფინანსო კრიზისის გაღრმავების მთავარი ფაქტორია, იგი განაპირობებს ისედაც მეტისმეტად შეზღუდული რესურსების დიდ დანაკარგებს, ბიუჯეტის დეფიციტის გამუდმებულ ზრდას, მასთან დაკავშირებული ჰიპერინფლაციის გაძლიერებას და ამ საფუძველზე მოსახლეობის ცხოვრების დონის შეუჩერებელ დაქვეითებას, რაც განსაკუთრებით მის სოციალურად ნაკლებად დაცულ ფენებს ეხება. დაუშვებელია, რომ მინიმალური ხელფასის, პენსიებისა და სხვა სოციალური გასაცემლების დონე ვერ უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმის უმცირეს ნაწილსაც კი, როცა საბიუჯეტო სუბსიდიების მომხმარებლად თანაბარი ოდენობით გამოდის მთელი მოსახლეობა, მათი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

მოხმარებულ რესურსებზე ფასთასხვაობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარვის გამო ძალზე არაეფექტიანად გამოიყენება გაზისა და ელექტროენერგიის რესურსები, საწარმოები და მოსახლეობა დაინტერესებული არ არის ხელოვნურად შემცირებული ფასების პირობებში, მათი მომჭირნედ მოხმარებით. გამოიკვეთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის დახარჯული ენერგიის ხვედრითი წილის ზრდისა და საწარმოთა მოხმარების წილის შემცირების ტენდენცია, რაც საწარმოო პოტენციალის მოცდენის, პროდუქციის დანაკარგების ზრდისა და ქვეყნის გაღატაკების სერიოზულ ფაქტორად იქცა, პურის მეტისმეტად დაბალი სიმბოლური ფასები ქმნის ფქვილისა და ხორბლის რესურსების სპეკულაციის გზით გადინების შესაძლებლობებს, რასაც ადასტურებს ნორმირებული განაწილების მიუხედავად, გამომცხვარი პურის არაორგანიზებული ბაზრის არსებობა, რაც საბოლოო ანგარიშით სიძნელეებს ქმნის საბარათო სისტემის ფუნქციონირებაში, წარმოშობს სოციალურ დაძაბულობას.

ასეთ პირობებში მეტისმეტად ძნელდება სახელმწიფოს მიერ მიზანდასახული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარება. წარმოების გამოცოცხლება, ინფლაციის, მოსახლეობის გაღატაკების, ქვეყნის საგარეო და საშინაო ვალების შემდგომი ზრდის შეჩერება.

შრომის ანაზღაურების, პენსიების, სოციალური დახმარების დონის ამაღლების, განსაკუთრებით მცირე შემოსავლიანი პირებისა და ოჯახებისათვის, სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ფასების მოწესრიგება და რეალური ღირებულებითი პროპორციების ჩამოყალიბება ეკონომიკური რეფორმის სტრატეგიული კურსის ურყევობისა და ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელების გადამწყვეტი მოთხოვნა ხდება. იგი აუცილებელი პირობაა ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და განვითარებული სახელმწიფოების დახმარებების მიღების, აგრეთვე კერძო კაპიტალის მოზიდვისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად, ეკონომიკური რეფორმის დაჩქარების გარდამავალ ეტაპზე არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური დაცვის გაძლიერების, ფასწარმოქმნისა და საფინანსო სისტემის გაჯანსაღების, აგრეთვე, ეროვნული ეკონომიკის მართვის გაუმჯობესების მიზნით:

1. მოსახლეობის სოციალური დაცვის საფუძვლად მიჩნეულ იქნეს საბიუჯეტო სახსრების კონკრეტული მისამართული ხარჯვა ხელფასების, პენსიებისა და სოციალური გასაცემლების ისეთი დონის მისაღწევად, რომელიც ყველაზე დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განახორციელოს ხელფასების, პენსიებისა და სოციალური გასაცემლების წინმსწრები გადიდება ელექტროენერგიის, გაზის, პურის, ზოგიერთი სხვა საქონლისა და მომსახურების ფასებისა და ტარიფების მოწესრიგების მოსალოდნელი შედეგის გათვალისწინებით.

რეალური საბიუჯეტო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხელფასების, პენსიებისა და სოციალური გასაცემლების მომატებისას გათვალისწინებულ იქნეს დაბალშემოსავლიანი პირებისა და ოჯახებისათვის შრომის ანაზღაურებისა და სოციალური შემწეობის უპირატესი ზრდა.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა, ეროვნულმა ბანკმა, კომერციულმა ბანკებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, უზრუნველყონ გაზრდილი ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების წინასწარი საავანსო გაცემა.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მოაწესრიგოს ელექტროენერგიის, გაზის, და ამ საფუძველზე კომუნალური, სატრანსპორტო ტარიფები, აგრეთვე ცენტრალიზებული სახელმწიფო კრედიტებით შეძენილი საქონლის ფასები, იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ დარგების ნორმალური და კონკურენტუნარიანი ფუნქციონირება დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციის მიუღებლად, იმავდროულად, მოხდეს შესაბამისი რესურსების მომჭირნეობით გამოყენების სტიმულირება.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყოს პურის სარეალიზაციო ფასების ეტაპობრივი მოწესრიგება შემდგომი ლიბერალიზაციით, აგრეთვე, მოსახლეობის სოციალური დაცვის წინმსწრებ გარანტირებულ ღონისძიებათა გათვალისწინებით.

მოსახლეობის, განსაკუთრებით, მისი ყველაზე ხელმოკლე ფენების, სოციალური დაცვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად ბიუჯეტში თანხების მოზიდვის მიზნით, უცხოური კრედიტებით შესყიდული, აგრეთვე, უცხოეთიდან გარანტების სახით უსასყიდლოდ შემოსული ხორბალი და ფქვილი, იმ შემთხვევების გარდა, როცა დონორი ქვეყნის მიერ გათვალისწინებულია სხვა პირობები, გაიყიდოს მოწესრიგებულ ფასებში. რეალიზაციისაგან მიღებული ამონაგები მთლიანად ჩაირიცხოს საქართველოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად.

5. ელექტროენერგიის, გაზის, კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების ტარიფებისა და პურის ფასების მოწესრიგების შედეგად გამოთავისუფლებული სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები წარიმართოს ხელფასების, პენსიებისა და სოციალური დახმარების გასადიდებლად.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

— მიიღოს უმკაცრესი ზომები საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის ღირებულების ამოსაღებად. იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დაუშვებენ გადახდის წესების დარღვევებს, შეუწყდეთ შესაბამისი ენერგორესურსების მიწოდება;

განახორციელოს ღონისძიებანი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის, ელექტროენერგიის, კომუნალური მომსახურების ღირებულების დროულად ამოღების მექანიზმის შესამუშავებლად, ამასთან, გაითვალისწინოს საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის იაფი ენერგომატარებლისა და ენერგომომხმარებელი ხელსაწყოების მიწოდება.

7. სოციალური პროგრამების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში რესურსების გასადიდებლად, რადიკალური სტრუქტურულ-სისტემური რეფორმის ფარგლებში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების რეორგანიზაციის შედეგად წლევანდელი წლის ბოლომდე ამ ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნება შემცირდეს, სულ ცოტა, 30 პროცენტისა.

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, ორი კვირის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კონკრეტული წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების სტრუქტურული ცვლილებებისა და ამ ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის შემცირების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა და უწყებებმა, ერთი თვის ვადაში განიხილონ და გადაწყვიტონ მათდამი დაქვემდებარებული საბიუჯეტო დაწესებულებების რეორგანიზაციის საკითხი.

8. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული ხელფასების, პენსიებისა და დახმარებათა გადიდებისა და ფასების მოწესრიგების კომპლექსური ღონისძიებანი განიხილონ, როგორც ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის გატარების ახალი, მეტად პასუხსაგები ეტაპის დასაწყისი, რომლის განხორციელებაზე გადამწყვეტად არის დამოკიდებული ქვეყნის ეფექტიანი საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება, ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრი შემცირება და ინფლაციის შეჩერება, უახლოეს პერსპექტივაში მყარი ეროვნული ვალუტის შემოღების წინაპირობების შექმნა.

ამ ამოცანათა რეალიზაციის მიზნით:

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა სრულად და თანამიმდევრულად განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის დასახული ღონისძიებანი, უზრუნველყონ შესაბამისი სამსახურების მიერ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ყველაზე ხელმოკლე და მიუსაფარ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებიც დამატებით მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ამ მიმართულებით, მათ შორის, შესაძლებლობის ფარგლებში საზღვარგარეთის ჰუმანიტარული დახმარებისა და ქველმოქმედების მოზიდვის გათვალისწინებით უფასო სოციალური მომსახურების ცენტრების მოწყობა.

ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისა და ეფექტიანი სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის ამოცანათა ერთდროული რეალიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს საგადასახადო სისტემის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს რესპუბლიკაში საბანკო საქმიანობის გააქტიურება, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თანამიმდევრული გატარება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების შეუფერხებელ და მართლზომიერ ფუნქციონირებას, მათი მუშაობის მოქალაქეთათვის ხელსაყრელი წესებისა და რეჟიმის დადგენას, ხელფასების, პენსიებისა და სხვა ფულადი დახმარების თანხების თავისდროულ და შეუფერხებელ გაცემას.

9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, სამართალდამცავმა და მაკონტროლებელმა ორგანოებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა დააწესონ და განახორციელონ ამ ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის მკაცრი კონტროლი.

10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ყველა დადგენილება, განკარგულება და გადაწყვეტილება, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ დადგენილებას.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ენერგეტიკული კრიზისის მძიმე შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ

იმის მიუხედავად, რომ გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა, ქვეყანაში ბოლო წლებში შეიქმნა მწვავე ენერგეტიკული კრიზისი, რესპუბლიკა ენერგოშემცველებზე მოთხოვნილებას საკუთარი რესურსებით მხოლოდ 20 პროცენტით აკმაყოფილებს. ამავე დროს არის საწვავის, სათბობის, ენერგეტიკული მოწყობილობის დატაცებისა და უყაირათო ხარჯვის ფაქტები. შექმნილმა ვითარებამ მომავალი ზამთრის პირობებში შეიძლება აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს სახელმწიფოს. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა ენერგოსისტემაში, რომელიც ზაფხულის პირობებშიც კი მუდმივად ავარიული რეჟიმით მუშაობს, რაც იმით გამოიხატება, რომ ნორმალური 50 პერიოდის ნაცვლად ელექტრული დენის სიხშირე 45-47 პერიოდს არ აღემატება.

ზემოაღნიშნულმა დაუშვებელმა ვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც ელექტროსადგურების, ტურბინებისა და გენერატორების, ისე საწარმოთა ენერგოდანადგარების მძიმე დაზიანება და მათი ხანგრძლივი დროით მწყობრიდან გამოსვლა. ასეთი მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით:

1. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 23 აგვისტოს № 267 ბრძანებულებით შექმნილ რესპუბლიკურ საგანგებო შტაბს ორი დღის ვადაში წარმოუდგინონ დასამტკიცებლად:

საქენერგოს დეპარტამენტმა (ი. ჭედია):

ელექტრული სიმძლავრისა და ელექტროენერგიის გამომუშავების რეალური სიდიდეები წლევანდელი 1 ოქტომბრიდან 1995 წლის 1 მაისამდე თვეებისა და დღე-ღამის მიხედვით თბოელექტროსადგურებისათვის სათბობის მიწოდების სხვადასხვა მოცულობების პირობებისათვის;

ქალაქებისა და რაიონებისათვის, აგრეთვე ენერგოტევადი საწარმოებისათვის ელექტრული სიმძლავრეებისა და ელექტროენერგიის მოხმარების ზღვრული დასაშვები ნორმები შესაბამისი პერიოდების მიხედვით, იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ენერგოსისტემის ნორმალური სიხშირის დენის მიწოდება;

საქენერგოს დეპარტამენტის რწმუნებულთა სია, რომლებიც მივლინებულ იქნებიან ცენტრალური ქვესადგურის მქონე რესპუბლიკის ყველა საწარმოში ამ საწარმოებისთვის ელექტროენერგიის მოხმარების დაწესებული ლიმიტების დაცვის კონტროლის განსახორციელებლად, მათთვის საჭიროების შემთხვევაში ფიდერების გამორთვის უფლების მინიჭებით.

სამინისტროებმა და უწყებებმა — მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისათვის ელექტროენერგიის მოხმარების დაწესებული ლიმიტების დაცვის ღონისძიებები, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული საამქროების და აგრეგატების ნაწილობრივი ან სრული გამორთვის გრაფიკების თანდართვით.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორმა — საკუთარი ელექტროსადგურების დადგენილი დატვირთვის მუშაობისა და ქსელში ენერგიის ნამატის გადაცემის გრაფიკები.

2. დაევალოს საქენერგოს დეპარტამენტის თავმჯდომარეს ი. ჭედიას განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა უზრუნველყოს რესპუბლიკის ენერგოსისტემაში დენის ნორმალური სიხშირე — 50 ჰერცი.

გაფრთხილებულ იქნენ საქენერგოს დეპარტამენტის ხელმძღვანელები, რომ ენერგოსისტემის დენის დაბალი სიხშირით მუშაობისათვის ისინი მკაცრად დაისჯებიან.

3. ელექტროენერგიის მოხმარების ზღვრული სიდიდეების დაცვისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს (მერებსა და გამგებლებს), აგრეთვე საწარმოებისა და შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებს.

გაფრთხილებულ იქნენ აღნიშნული ხელმძღვანელები, რომ ელექტრული სიმძლავრეებისა და ელექტროენერგიის, აგრეთვე სხვა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარების ზღვრული დასაშვები ნორმების გადაჭარბებისათვის მათ მიმართ გამოყენებულ იქნება სასჯელის მკაცრი ზომები (თანამდებობიდან გათავისუფლებისა და პასუხისგებაში მიცემის ჩათვლით).

4. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურას ერთი კვირის ვადაში მოამზადონ სათბობენერგეტიკული რესურსების უყაირათოდ ხარჯვისა და დაწესებული ნორმების გადაჭარბებისათვის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის შესახებ კანონის პროექტი.

ე. შევარდნაძე.

1994 წლის 30 აგვისტო.

მერვე სვეტი

საქინფორმი იტყობინება

კარაქი — ტალონებით

წლევანდელი წლის სექტემბრიდან დაიწყება მოსახლეობისათვის კარაქის ნორმირებული განაწილება — სულზე 200 გრამი თვეში. ამ პროდუქტის სავარაუდო სარეალიზაციო ფასია კილოგრამი 500 ათასი კუპონი. ეს ითქვა რესპუბლიკური სასურსათო კომისიის სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით გაიმართა.

სასუქი უფასოდ

„იბერიის" სააგენტოს ცნობით რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა" გამოუშვა 66.000 ტონა სასუქი — ამონიუმის გვარჯილა. აქედან 49.000 ტონა უფასოდ გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობას.

ლუმელები უსასყიდლოდ

ამ დღეებში დახავლეთ საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს დაურიგდა ჰუმანიტარული გზით საქართველოში შემოტანილი ღუმელები.

მედლინ ოლბრაიტი ჟურნალისტებს შეხვდება

სააგენტო „იბერიას" ცნობით, 1 სექტემბერს, 11.30 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შენობაში აშშ-ის პრეზიდენტის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში, მედლინ ოლბრაიტი, შეხვდება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს და იმავე დღეს ზუგდიდს გაემგზავრება.

ქ. ზუგდიდში იგი შეხვდება გაეროს მეთვალყურეებს, რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებს და აფხაზეთის რეგიონიდან ლტოლვილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს.

დაიწყო მეორე ეტაპი

სააგენტო „იბერიას" კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის შსს პრესცენტრის ხელმძღვანელმა ვალერიან გოგოლაშვილმა განუცხადა, რომ 30 აგვისტოს დაიწყო რესპუბლიკის მასშტაბით დამნაშავეობასთან ბრძოლის მეორე ეტაპის განხორციელება.

30 აგვისტოს სამინისტრომ პოლიციის ადგილობრივ ძალებთან ერთად, ქ. თბილისში განახორციელა ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება. ოპერაციას ხელმძღვანელობდა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია.

ვ. გოგოლაშვილის თქმით, ამოღებულია დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები, ნარკოტიკული ნივთიერებები, ფალსიფიცირებული არაყი, კონიაკი და შამპანური. დაკავებულია რამდენიმე განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, რომლებიც იძებნებოდნენ რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

საშემოდგომო სესიის წინ

თუ ამას გავუძლით...

ბოლო ხანს აქა-იქ მოისმენთ, — თუ ლტოლვილები ვერ შევლენ აფხაზეთში, მაშინ სახელმწიფოს მეთაური უნდა გადადგესო. ამავე დროს ასახელებენ გარკვეულ ვადებსაც. მე თავად ჟურნალისტი ვარ და კარგად ვიცი, რაც უფრო ხშირად მეორდება ამგვარი იმპერატიული ტონის განცხადება, მსმენელის ცნობიერებაში მით უფრო „შეუვალი" ჭეშმარიტების პრეტენზიას იძენს.

საიდან მოდის ასეთი ვერსია? მე, რა თქმა უნდა, შემეძლო მესარგებლა დეპუტატის უფლებამოსილებით და შეკითხვით მიმემართა სახელმწიფოს მეთაურისათვის, მაგრამ, ჯერ ერთი, არ მაქვს სურვილი, ამან კერძო საუბრის ფორმა მიიღოს (მით უმეტეს, როცა ასეთი განცხადებები საჯაროდ კეთდება) და, მეორეც, — სახელმწიფოს მეთაურს, რამდენადაც ვიცი, არ გაუპროტესტებია ლტოლვილების შესვლის საკითხთან მისი გადადგომის ამგვარი ხელოვნური „მიბმის" მცდელობა, და ამან არ შეიძლება არ დაგაფიქროს.

ქართველები უნდა დაბრუნდნენ აფხაზეთში და ეს ასეც იქნება. მაგრამ ვიღაცას სჭირდება დევნილთა კიდევ ერთ შიდაპოლიტიკური არეულობის საბაბად გამოყენება, მათ ზურგსუკან ამოფარება და მათი სახელით ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება. აი, ამიტომ ასახელებენ ლტოლვილების შესვლის „მყარ" თარიღებს და თუ ეს ვადები დაირღვევა, კვლავ ხელისუფლების საკითხს დასვამენ. სწორედ ისე, როგორც არაერთხელ ბოლო 2-3 თვის მანძილზე და სწორედ აქ არის იმის ახსნაც, თუ რატომ არ მოჰყვა პარლამენტის უკანასკნელ, ჩაშლილ სხდომას ალიაქოთი, თუმცა, ამას ყველა ელოდა.

არ მოჰყვა იმიტომ, რომ ოპოზიციამ ეს საკითხი სექტემბრამდე გადადო, რადგან თუ ისე მოხდება, რომ ლტოლვილების შესვლა 15 სექტემბრამდე არ მოგვარდა, მაშინ უკვე ყველაფერს უნდა ველოდოთ.

ხანდახან გაიგონებთ, საქართველოში ხელისუფლება არ არსებობსო და ამავე დროს, ამის მთქმელები 1992 წელს აფხაზეთში ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენისათვის გადადგმულ ნაბიჯს დღეს ხელისუფლებას დანაშაულად უთვლიან. განა ისინი, ვინც დღეს აფხაზეთის ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობას სხვას აკისრებენ, თავად არ იყვნენ სახელმწიფო საბჭოს წევრები?

ზოგჯერ იმასაც გაიგონებთ, თუ აფხაზეთში რკინიგზისა და საავტომობილო ტრასების დაცვა გვინდოდა, რატომ სამეგრელოდან არ დავიწყეთო! მაგრამ განა ამის მთქმელები, აფხაზეთის დაკარგვას ხელისუფლებას რომ უკიჟინებენ, სამეგრელოს დაკარგვაზეც არ აყვირდებოდნენ დღეს?

უცნაურია, რა სწრაფად გვავიწყდება ის, რაც არ გვინდა, რომ გვახსოვდეს. როცა გამსახურდიას რეჟიმს მდგომარეობა გაურთულდა თბილისში, დასავლეთ საქართველოში ემისრები გაგზავნეს ნიადაგის მოსასინჯად, თუ როგორ შეხედავდა სამეგრელოს მოსახლეობა დასავლეთში დედაქალაქის გადატანას და აღმოსავლეთ საქართველოსგან მის მოწყვეტას. „რაში გვჭირდება ეს აღმოსავლეთ საქართველო, საზღვარს ლიხზე გავამაგრებთ, გვირაბს დავკეტავთ და მერე ვნახოთ, როგორ მიხედავს თავის თავს თბილისიო!" — ამბობდნენ ეს „ეროვნული" მოღვაწეები. ამ საკითხზე სოფლებში კრებებიც კი გაიმართა. სამეგრელოს მოსახლეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამგვარ ანტისახელმწიფოებრივ პროვოკაციას არ აჰყვნენ.

ჭეშმარიტად, პოლიტიკური უპასუხისმგებლობის სენი გადამდებია; რა თქმა უნდა, ძნელი საყურებელია, როცა არც ერთი პოლიტიკური ძალა საკუთარ განცხადებებსა და ქმედებაზე პასუხს არ აგებს. ძნელად ასატანია, როცა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი არ არის. სულაც აუტანელია, როცა ყოფილი თავდაცვის მინისტრი სამხედრო მარცხისათვის არ აგებს პასუხს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ აძლევს შევარდნაძის გამოცდილების კაცს იმის უფლებას, რომ ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა მოიხსნას.

40 წელიწადზე მეტხანს იყო გერმანია ორად გაყოფილი, მაგრამ არასოდეს დაუყენებიათ ეჭვქვეშ გერმანიის სახელმწიფოებრიობა. საუკუნეების მანძილზე იყვნენ ისრაელიანნი მთელს მსოფლიოში გაფანტული, საკუთარი მიწისა და სახელმწიფოს უქონლად, მაგრამ თავიანთი სიჯიუტით დაამტკიცეს, რომ სახელმწიფოებრიობის ღირსი არიან. ისტორიული მაგალითები შორს წაგვიყვანდა. სახელმწიფოებრიობა არ არის ერთჯერადი აქცია, არც დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერა ნიშნავს სახელმწიფოს აშენებას. ეს მტკივნეული და თანამიმდევრული პროცესია. პროცესი კი დროსა და სივრცეში ვითარდება და თუ საქართველოში არსებულ ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას არ სურს იწავლოს პოლიტიკურ დროსა და სივრცეში გზის გაგნება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მეთაური ვინმეს „დაკვეთით" ამბობდეს ამ საყოველთაო ჭეშმარიტებაზე უარს. ყოველივე ეს პარადოქსულ სიტუაციას ქმნის, როცა გარკვეული ძალები სახელმწიფოს მეთაურს „გამოსაცდელ ვადას" უნიშნავენ და ისიც, მუდმივ ცაიტნოტში, იძულებულია გამუდმებით ამტკიცოს საქართველოს ინტერესებისადმი ერთგულება.

პარლამენტის სპიკერი ერთ-ერთ თავის ინტერვიუში აღნიშნავს: „გვეშინია არ დაგვიძახონ, შენ მოღალატე ხარ, რუსეთის იმპერიაში შეგყავს საქართველო და ა. შ. ვიდრე სიმართლეს არ ვიტყვით, ვიდრე გმირობანას, სარდლობანას თამაშს თავს არ დავანებებთ, არაფერი გვეშველება. არა მარტო სიცოცხლე, ზოგჯერ სახელიც უნდა გასწირო, ქვეყანას რომ უშველო". თავგანწირვას რაც შეეხება, სახელმწიფოს მეთაურს, ალბათ, იმან უნდა შეუძახოს, ვინც სოხუმში, დაბომბვისას მის გვერდით მაინც იდგა, ხოლო „მოღალატის" იარლიყთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ საბჭოთა წყობილების ყოფილი მტრები დღეს მშვენივრად იყენებენ ამ ყველაზე უფრო საბჭოურ იარაღს.

ბ-ნი ვ. გოგუაძე ამასაც ამბობს: „ხანდახან ჩემს ნორმალურობაში ეჭვი შემქონდა, როცა მესმოდა, რუსეთის იმპერიასთან ჩვენი საომარი მდგომარეობა დავაფიქსიროთო. „არ მჯერა, რუსეთის იმპერიას ომი ვერ მოვუგოთო" და სხვა ასეთი „სიბრძნე" ჩემთვის ცხადს ხდიდა, რომ გრიალით მივექანებოდით უფსკრულში". სამწუხაროა, მაგრამ თავად ამ „სიბრძნის" ავტორებს არასოდეს შეუტანიათ ეჭვი საკუთარ ნორმალურობაში.

განა აფხაზეთის პროცესები ვაკუუმში მიმდინარეობდა? გავიხსენოთ, რა ხდებოდა გარე სამყაროში მაშინ; „დუღილის პროცესი" ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელმაც დღეს უკვე გამოკვეთილი „ჩეჩნეთის სინდრომის" სახე მიიღო და რომლისთვისაც ორი წლის წინათ რუსეთს არ ეცალა, ვინაიდან მაშინ საკუთარი პოლიტიკური პრობლემები აწუხებდა. რეაქციული ძალებით „გაძეძგილი" რუსეთის უზენაესი საბჭო, რომელმაც ფაქტობრივად ხელ-ფეხი გაუხსნა ექსტრემიზმსა და სეპარატიზმს აფხაზეთში და თან ზურგიც გაუმაგრა თავისი მიღებული დოკუმენტებით. დაპირისპირება რუსეთის პრეზიდენტსა და უზენაეს საბჭოს შორის, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მთელი დროის მანძილზე მწვავდებოდა...

დაბოლოს, ფინიშის სწორი, რომელზეც აფხაზეთის კონფლიქტი და რუსეთის „პოლიტიკოსთა ომი" ერთდროულად გავიდა: სოხუმი დაეცა 1993 წლის 27 სექტემბერს. ამ დროს მოსკოვში დაპირისპირება პიკის მდგომარეობას აღწევს. კვირის თავზე თეთრ სახლში გამაგრებულ რუცკოისა და ხაზბულატოვის „უზენაეს გუნდს" შტურმით აიღებენ.

მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ვის შეეძლო 4 ოქტომბრამდე გადაჭრით ეთქვა, რომელი ძალა გაიმარჯვებდა რუსეთში? რუსეთის პარლამენტის იმპერიული ამბიციები და პროფაშისტური მისწრაფებები იმდენად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა მთელი მსოფლიოსათვის (და, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც), რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ იმაზეც კი დახუჭა თვალი, რომ მოსკოვში დიდძალი სისხლი დაიღვარა და ბევრი მშვიდობიანი მოქალაქეც შეეწირა 3-4 ოქტომბრის მოვლენებს. აქვე შეგახსენებთ, რომ თეთრ სახლში სწორედ ის ძალები იყვნენ გამაგრებული, რომლებმაც საქართველო „უბედურების ზონად" გამოაცხადეს. თუ ესეც აღარ გვინდა გვახსოვდეს?

აფხაზეთის დაკარგვის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ბ-ნი თ. სიგუა თავად ასახელებს სამხედრო ბაზების საკითხს. აი, რას ამბობს იგი ა. წ. 5 აგვისტოს აფხაზეთის გათავისუფლების ორგანიზაციის კონფერენციაზე: „მე ვუთხარი (გრაჩოვს — ნ. დ.) თქვენ მიიტანეთ პრეზიდენტამდე, რომ საქართველოს მხარე თანახმაა ბომბორის აეროპორტზე იყოს მსჯელობა. ვთქვათ, საუკუნის ბოლომდე ან 15-20 წლით იჯარით გადაეცეს ან ერთობლივ გამგებლობაში იყოს, ვთქვათ ამერიკას რომ აქვს ოკინავაზე ან ფილიპინებზე ბაზები. მე ვუთხარი, ყველაფერი ცნობილია: ერთი ჰექტარი რამდენი დოლარი ღირს, ამას საქართველოს მხარე წარმოგიდგენთ, თქვენ აანაზღაურებთ ამას და ექსპლოატაციას გაუწევთ იმ პერიოდში, რომელზეც შეთანხმდებით. ეს არ ესიამოვნათ, რადგან უფასოდ უნდათ".

ოპოზიცია კვლავ ხელისუფლებაზე შეტევისათვის ემზადება

ეს არის საკუთარი შეცდომის დაუნახაობისა და შეუფასებლობის კლასიკური შემთხვევა. მაშინდელი პრემიერი თავად აღნიშნავს, გრაჩოვი არ მალავდა, რომ ბომბორა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების საგანიაო და ამ სიტუაციაში, საომარ პირობებში თ. სიგუა რუსებისაგან დოლარებით მოითხოვს ბომბორას იჯარის ანაზღაურებას, როცა აფხაზური მხარე ბომბორასაც და სხვა დანარჩენსაც სულაც უფასოდ ჩუქნის რუსეთს, ოღონდ მან გუდაუთის დაჯგუფების ინტერესები დაიცვას! ნუთუ ცხადი არ არის თუნდაც ამ ერთი ფაქტიდან გამომდინარე, ვის დაუჭერდა რუსეთის ჯარი მხარს? აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ პრემიერი „პრინციპულობანას" თამაშობს იმ აეროდრომის საკითხში, რომელსაც ქართული მხარე ვერ აკონტროლებს!!!

იმავე კონფერენციაზე თ. სიგუა აანალიზებს აფხაზეთში სამხედრო წარუმატებლობის მიზეზებს. კაცმა რომ თქვას, ალბათ, ამ საკითხზე სჯობდა ბ-ნ თ. კიტოვანს ესაუბრა, მით უმეტეს, რომ ამ ორ მოღვაწეს კარგადა აქვთ ათვისებული „წყვილად თამაში", მაგრამ დავუბრუნდეთ ბ-ნ სიგუას გამოსვლას.

იგი ამტკიცებს, რომ მთავარი დანაშაული იყო ჩვენი ჯარის შეჩერება მაშინ, როცა შეიძლებოდა გუდაუთის აღება. „არცერთი ნაბიჯი გუმისთის იქით, ასეთი იყო ბრძანება". — ეს პათეტიური ფრაზა სათაურშიც კია გატანილი. ამ მოსაზრებას 1992 წლის დამლევსვე გასცა პასუხი სახელმწიფოს მეთაურმა და მაშინ მისი არგუმენტები არც ბ-ნ სიგუას, არც ბ-ნ კიტოვანს გაუპროტესტებიათ. აი იმ გამოსვლის ფრაგმენტი: „...სამხედრო თვალსაზრისით, არ შეიძლებოდა შეტევა და ჯარების წინსვლა, რადგან ზურგში რჩებოდნენ მოწინააღმდეგის განუიარაღებელი ნაწილები, რაც ქმნიდა რეალურ საფრთხეს, — ეს ერთი. მეორე, წინ იყო გუდაუთის რაიონი, სადაც ყველაზე უფრო კომპაქტურად არის თავმოყრილი აფხაზური მოსახლეობა, პოზიციებიც კარგად არის გამაგრებული და წინააღმდეგობაც გააფთრებული იქნებოდა. ომი მიიღებდა ტოტალურ და პარტიზანულ ხასიათს. მესამე, წინ იყო განლაგებული რუსეთის ჯარების სოლიდური ნაწილები, რომლებმაც არსებული ცნობების თანახმად, მოსკოვიდან მიიღეს ბრძანება საჭიროების შემთხვევაში განეხორციელებინათ ობიექტების, ქონებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სამხედრო დაცვის ღონისძიებანი".

ასეთი იყო რეალური სურათი. გასაგები უნდა იყოს, რამდენად დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა ამ ოპერაციას და გუდაუთის შენარჩუნებაც, ალბათ, ისევე ვერ მოხერხდებოდა, როგორც გაგრისა. იკითხავთ, განა ცოტა იყო მსხვერპლი, განა გუდაუთის აუღებლობამ უშველა იმ მშვიდობიან მოსახლეობას, რომლის სისხლი მაინც დაიღვარა? შესაძლოა, ვერ უშველა, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ ქართული და აფხაზური მხარის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ისევე განსხვავდება, როგორც ორი დედის, მშობელი და გამზრდელი დედებისა ბავშვის მიმართ, „კავკასიურ ცარცის წრეს" რომ დაედო საფუძვლად; როცა მშობელი დედა სასამართლოს წინაშე მთელი ძალით ექაჩება თავისკენ ბავშვს, ხოლო გამზრდელი ხელს უშვებს ყვირილით, — „არ შეიძლია, ხომ არ გავგლეჯო!" ასე გაწირა „გასაგლეჯად" საკუთარი ხალხი გუდაუთის პოლიტიკურ ავანტიურისტთა ჯგუფმა.

შესაძლოა, ტოტალურ უპასუხისმგებლობას ისიც უწყობს ხელს, რომ დღემდე არ დასახელებულა არც ერთი სამხედრო დამნაშავე, რომელსაც წვლილი მიუძღვის აფხაზეთის სამხედრო მარცხში. თუმცა, სამხედრო წარუმატებლობა ისეთი საკითხია, რომლის მიზეზთა რკვევას ზოგჯერ ათწლეულებიც არ ყოფნის. მახსენდება, ათიოდე წლის წინათ შევკრიბე ქერჩის ბრძოლების მონაწილე ვეტერანები, რათა ტელევიზიით გაგვეშუქებინა მეორე მსოფლიო ომის ეს ერთ-ერთი შავი ეპიზოდი, რომელზეც ბევრი რამ ჯერ კიდევ არ თქმულა. როგორც ცნობილია, ქერჩში დესანტის გადასხმისას ათასობით ქართველი ახალგაზრდა დაიღუპა. ის, რაც იმ შეხვედრაზე გამოიკვეთა, საოცრად წააგავს აფხაზეთის ომის მონაწილეთა ნაამბობს: ეს ახალგაზრდები სამხედრო თვალსაზრისით აბსოლუტურად მოუმზადებელი იყვნენ, რამდენიმე ჯარისკაცზე თითო შაშხანა მოდიოდა, ოპერაცია დაუგეგმავი იყო და სარდლობამ ფაქტობრივად, გაწირა ისინი. ვეტერანების შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდა და ყველაზე ტრაგიკული ის იყო, რომ 40 წლის შემდეგაც კი იმ სასაკლაოში გადარჩენილმა ადამიანებმა ლამის დახოცეს ერთმანეთი იმის რკვევაში, თუ ვისი ბრალი იყო ამხელა მსხვერპლი, — სტალინისა თუ მეხლისის, რომელსაც ბიოლოგიურად ეზიზღებოდა ქართველები. არც ერთმანეთი დაზოგეს ყოფილმა თანამებრძოლებმა. ზოგი დეზერტირობაში დებდა ერთმანეთს ბრალს, ზოგი, — ტენდენციურობაში, მაგრამ დამნაშავე მაინც ვერ გაირკვა. გადაცემა არ შედგა. ასე რომ, გავრცელებული ფრაზა — „ისტორია ყველაფერს გაარკვევს და შეაფასებს" ხშირად არასწორად არის გაგებული. ისტორია სულაც არ ზრუნავს იმისთვის, რომ მის უშუალო მონაწილეებს აუხსნას რაიმე. არც შეფასება ხდება ხოლმე „ცხელ კვალზე". თუმცა, ერთიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს პოლიტიკურ თუ სამხედრო მოღვაწეებს სიმართლის დადგენისა და შეცდომების ანალიზის წყურვილი მაინცდამაინც გადადგომის შემდეგ უჩნდებათ ხოლმე.

თუმცა, დავუბრუნდეთ ლტოლვილების საკითხს. ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დღეს მილიონობით ადამიანია ლტოლვილ-დევნილი. მათი უმრავლესობა კარვებში და ვაგონებში ცხოვრობს, შიმშილისა და ეპიდემიების მუდმივ საფრთხეშია. ასეთია იმ ეთნოკონფლიქტების შედეგი, რომელთა ისტორიული მემკვიდრეობა ერგო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. საქართველოში დევნილთათვის კეთდებოდა ყველაფერი, რაც შეეძლო გაეკეთებინა ომითა და შინაპოლიტიკური კრიზისებით შეპყრობილი ქვეყნის ხელისუფლებას. განუზომელი იყო იმ ჰუმანიტარული დახმარების როლი, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები გვიგზავნიდნენ. ბევრი იყო დარღვევაც და დევნილთა ლუკმით გასუქებული „მამულიშვილიც". მაგრამ პური პრაქტიკულად ყველა ხიზანს ჰქონდა და საცხოვრებელი მინიმუმიც. კარგად მესმის, როგორ გაღიზიანებას გამოიწვევს ეს სტრიქონები ლტოლვილებში (საკუთარ პურს და კარ-მიდამოს ხომ ვერაფერი შეცვლის), მაგრამ დროა სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს: აფხაზეთის ტრაგედიაზე სრულიად საქართველოა პასუხისმგებელი, თავად ლტოლვილების ჩათვლით. რაც უნდა ექნა ცენტრს, ურთიერთობის საკითხები, უპირველეს ყოვლისა ადგილზე, აფხაზეთში უნდა მოგვარებულიყო. ამ ტრაგედიის უპირველესი მიზეზიც სწორედ ქართველთა გათიშულობაში იყო.

ახლა კვლავ დევნილთა დაბრუნების ვადებს შევეხოთ: დავუშვათ, მათი შესვლა აფხაზეთში „მიცემულ" ვადაში ვერ ჩაეტია. ისიც დავუშვათ, რომ ამის გამო სახელმწიფოს მეთაური გადადგა. რა უნდა იყოს შემდეგ?

შეგახსენებთ ორიოდე თვის წინ პარლამენტის სხდომაზე ჯ. იოსელიანის შეკითხვას დავით ბერძენიშვილისადმი: „თქვენ როგორ მოაგვარებთ აფხაზეთის პრობლემას"? დ. ბერძენიშვილის პასუხი დაახლოებით ასეთი იყო: „ჩვენ დავაკონსერვებთ აფხაზეთის საკითხს და 3-4 წლის შემდეგ, როცა არმია გვეყოლება, მერე შევალთ და დავიბრუნებთ".

ჯერ ერთი, 3-4 წლით აფხაზეთის დატოვება რომ თითქმის არარეალურს ხდის მის დაბრუნებას, ამას დიდი დავა არ სჭირდება. მეორეც, როცა აფხაზეთში უცხო ტომის ჩასახლებაზეა მუდმივად ლაპარაკი, როგორ უნდა აყარო ისინი 4 წლის შემდეგ, კარგად რომ მოიკიდებენ ფეხს? მესამეც, თუ ლტოლვილების შესვლა პრობლემური გახდა, ისედაც „დაკონსერვებული" არ გამოდის აფხაზეთის საკითხი? რატომ არის ვითომ ოპოზიციის მხრიდან „დაკონსერვება" მისაღები, ხოლო ხელისუფლების მხრიდან რეალური ნაბიჯები [illegible] ბელი? არარაფერს ვამბობ [illegible] რომ 3-4 [illegible] ჭოთა იმპერია 40 წელიწადს [illegible] ნებდა წითელ არმიას და იმას კი ვერ აუარა გვერდი სამხედრო წარუმატებლობას, — მოსკოვის კედლებამდე მიუშვა ფაშისტები. ეს სუპერ-გიგანტი 4 წელიწადს ეომებოდა მასზე [illegible] ლებით პატარა გერმანიას და მილიონობით ადამიანის მსხვერპლით დაამთავრა ომი. არის კიდევ ერთი დეტალი: თუ 3-4 წლის შემდეგ დღევანდელი ოპოზიცია ვერ დაიბრუნებს აფხაზეთს, გამართლება ყოველთვის მოიძებნება: „ეს ძველი ხელისუფლების მემკვიდრეობაა და პასუხს ჩვენ რაზე გვთხოვთ!" საინტერესოა, ის ლტოლვილები, რომლებიც დღეებს ითვლიან აფხაზეთის მისადგომებთან, დაუცდიან დღევანდელ ოპოზიციას კიდევ 4 წელიწადს?

იმარჯვებენ ის ერები, რომლებსაც შეუძლიათ ღირსეულად შეხვდნენ მარცხს და დროებით წარუმატებლობას არ გადააყოლონ თავიანთი მომავალი. საქართველოს ისტორია დღეს არ დაწყებულა და არც დღეს მთავრდება. დევნილებმა, რომლებიც მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებას ელიან, კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ ეს ყველაფერი არ ყოფილა „ტყუილად ჩავლილი განწირულის სულისკვეთება".

ქართველები აფხაზეთში დაბრუნდებიან, მაგრამ ისე აღარ, როგორც აქამდე იყვნენ. ბევრს ვლაპარაკობთ ომში დამარცხებაზე და არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ბოლო 80 წლის მანძილზე ქართველები პირველად აღუდგნენ წინ იმ ექსტრემიზმსა და სეპარატიზმს, რომელიც იფურჩქნებოდა აფხაზეთში. ამას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი ლტოლვილები აღარ არიან ის თავჩახრილი ქართველები, რომლებსაც აფხაზი ექსტრემისტები აგრერიგად მიიჩვევნენ. ამას თვითონაც გრძნობენ და ქართველების დაბრუნებისა ამიტომ ეშინიათ. არავინ იცის, ეს მათი შიში სამომავლოდ უარესის სიმპტომია თუ უკეთესისა.

საქართველოს მომავალი ღირსეული ადამიანების, ამაყი და თავმოყვარე მოქალაქეებისაა და არა ზიზღით სახედალმეჭილი, შურისძიების წყურვილით შეპყრობილი ხალხისა. ერთი დიდი მწერალი ამბობდა, რომ არის სამი რამ, რაც აუცილებლად უნდა გამოსცადოს ადამიანმა: ციხე, ომი და სიღატაკე. სახელმწიფოზეც იგივეს თქმა შეიძლება. საქართველომ ციხე მოილია, ომიც გადაიტანა და ახლა სიღატაკეში გამოცდას აბარებს. თუ ამასაც გავუძლით, მაშინ შეიძლება საკუთარი, ნამდვილი ადგილი მოვნახოთ მსოფლიო საზოგადოებრიობაში.

ნანა დევდარიანი,
პარლამენტის წევრი.

პარლამენტარის აზრი

ვის წისქვილზე ვუშვებთ წყალს?

საქართველოს ზედუკულმართ ისტორიას თვალს რომ გადაავლებ, ძალაუნებურად გებადება კითხვა: ნუთუ წარსულიდან დასკვნები ვერ უნდა გავაკეთოთ? წარსულშიც ხომ ჩვენი წარუმატებლობისა და დამარცხების მიზეზი ქიშპი, გაუტანლობა და ღალატი იყო, რა გვემართება, დღეს რატომ მეორდება იგივე? რა არის ამის მიზეზი?

როცა საქართველოს ისტორიული შანსი მიეცა მოეპოვებინა თავისუფლება, ყველას ეგონა, რომ ქართველები ერთ მუშტად შეიკვრებოდნენ, ერთიანი ძალით შეუდგებოდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ჩვენში კვლავ იჩინა თავი გაუტანლობამ, კარიერიზმმა და, რაც ყველაზე დამაფიქრებელია, ღალატმა, რასაც ერის გათიშულობა და დაპირისპირება მოჰყვა. სახელმწიფოს აღმშენებლობის ნაცვლად, ქვეყნის ნგრევა და გაპარტახება მივიღეთ. კანონის უგულებელყოფა, ყაჩაღობა, სახელმწიფო ქონების ძარცვა, კორუფცია და მაფიოზური სტრუქტურების პარპაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ვისაც ოდნავ მაინც აწუხებს საქართველოს ბედი, არ შეიძლება გულდამშვიდებით უცქიროს მიმდინარე მოვლენებს, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გავერკვეთ რა ხდება საქართველოში, რატომ გაიძარცვა და იძარცვება საქართველო? რამ მიიყვანა ქვეყანა შიმშილობამდე? დღეს საქართველოში სიდუხჭირისა და შიმშილისაგან მრავალი პატიოსანი ადამიანი უდროოდ ტოვებს ამ წუთისოფელს. ფაქტობრივად შრომის ანაზღაურება სახელმწიფო სტრუქტურებში არ არსებობს, რადგან ერთი თვის ხელფასით ადამიანი ერთ დღესაც ვერ გამოკვებავს ოჯახს, ისედაც გაუფასურებული კუპონი განდევნილია ბაზრიდან.

გაკვირვებას იწვევს, რატომ გადამჭრელ ზომებს არ ვღებულობთ იმისათვის, რომ ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ ხალხს გაჭირვება, რატომ არ ვებრძვით მახინჯ მოვლენებს, კორუფციას, სახელმწიფო ქონების ძარცვას, რასაც ყველას თვალწინ ბევრი სახელმწიფოს ჩინოვნიკი სჩადის. რატომ არ მოვითხოვთ კანონის შესრულებას? გაუთავებელი კომპრომისები რატომ იქცა ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტად? რა არის ეს — დიპლომატია თუ ჩვენი უსუსურობა? რა იმალება ოფიციალური ინფორმაციის მიღმა? რატომ ვეძებთ სადღაც განტევების ვაცს?

ვფიქრობ, დროა ზემოთ აღნიშნულ და სხვა საკითხებზე სერიოზულად დავფიქრდეთ და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, საკადრისი პასუხი გავცეთ ყველას, ვინც პირადი კარიერისა და კეთილდღეობისათვის ყველაფერს კადრულობს, მოხერხებულად სარგებლობს ქვეყანაში შექმნილი განუკითხაობით და ხარბად ეტანება ქვეყნის ძარცვას.

ყველაფერი ეს ხომ ჩვენს თვალწინ ხდება, ჩვენ კი ვდუმვართ, თითქოს ვერაფერს ვხედავთ.

ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, ნაცვლად იმისა, რომ ჩადგეს სამშობლოს გადარჩენისათვის მებრძოლთა რიგებში, ზურგს აქცევს საკუთარ სამშობლოს და უცხოეთში გარბის საკუთარი ბედნიერების საძებნელად. ნუთუ ერთხელაც არ უნდა დაფიქრდნენ ვის უტოვებენ საკუთარ ქვეყანას, მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს — გადამთიელებს?, ასე გულმოდგინედ, რომ ძიძგნიან მრავალტანჯულ ქვეყანას?

შეჩერდით, ქართველებო, სამშობლოს ნუ ანაცვალებთ პირად ბედნიერებას, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ადამიანი მარტო ქონების მოხვეჭით როდია ბედნიერი. თუ გვინდა, რომ სამშობლო გადავარჩინოთ, უნდა გავერთიანდეთ, თუ ერთად ვიქნებით, ერთმანეთის გვერდზე დავდგებით, ჭირსაც და ლხინსაც ერთად გავიყოფთ, ერთად ვიბრძოლებთ ქვეყანაში წესრიგის დამყარებისა და აღმშენებლობისათვის, ჩვენ ქვეყანაშიც დამკვიდრდება სიმშვიდე და ბედნიერება.

დროა ერთმანეთისაგან გავარჩიოთ მტერი და მოყვარე, კარგად დავფიქრდეთ, რა მოგვიტანა გადაჭარბებულმა ინტერნაციონალისტობამ და სტუმართმოყვარეობამ, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, კარგი არაფერი. ჩვენი გულუბრყვილობით სტუმარი მასპინძლად ვაქციეთ, დავაპურეთ, დავასახლეთ. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი მადლობის ნაცვლად დაგვცინის. ჩვენ მეგობრობასა და ძმობაზე ვქადაგებთ, პასუხად დედას გვაგინებენ, ტყვიას გვესვრიან, საკუთარი სახლიდან გაძევებას გვიპირებენ, ჩვენ ვდუმვართ, თითქოს არაფერი ხდება, ძველებურად ძმასა და მეგობარს ვუწოდებთ ჩვენდამი სიძულვილის გრძნობით გაჟღენთილ „ძმას". რა არის ეს? ჩვენი შორსმჭვრეტელობა თუ უდარდელობა? ნუთუ აღარ დადგა დრო რეალობას თვალებში შევხედოთ და გონს მოვეგოთ.

პირდაპირ გაკვირვებას იწვევს, როცა ჩვენს სისხლსა და ხორცს ტყვიას ესვრიან, სახლს უწვავენ, ნამუსს ხდიან, ჩვენ კი მშვიდად შევყურებთ ამ უბედურებას. ზოგ ჩვენ თანამემამულეს ჰგონია ეს მას არ ეხება, ამაზე სხვამ უნდა იფიქროს, ის კი არ იცის, რომ თუ გულთან ახლოს არ მიიტანს სხვის უბედურებას, ხვალ იგივე ბედი შეიძლება მას ეწიოს. განა ამის მაგალითები ცოტაა? გავიხსენოთ საქართველოში სეპარატისტების მიერ გაჩაღებული სისხლისმღვრელი ომი, რომელიც დღემდე გრძელდება. ომის შედეგად ათასობით ქართველი რომ იღუპებოდა, ასიათასობით შეურაცხყოფილი ტოვებდა საკუთარ სახლკარს, ამ უბედურების ჟამს ჩვენი პროპაგანდის საშუალებანი ჩვეულებრივი რიტმით მუშაობდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ქვეყანაში არაფერი ხდებოდა, ეს უბედურება ჩვენთან კი არა, სადღაც სხვა ქვეყანაში სუფევდა. ხშირად ტელე-რადიო გადაცემები ჩვენი უპასუხისმგებლობის გამო მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს და ისინი სეპარატისტებისათვის ძვირფას ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა, რასაც მრავალი ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა, სამწუხაროდ, პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროპაგანდის საშუალებანი მოსახლეობაში პატრიოტიზმის აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ამიტომ ტელევიზიის, რადიოსა და პრესის საშუალებით საჭიროა ქართველ კაცს ბავშვობიდან ჩავუნერგოთ სამშობლოს ერთგულება, საკუთარი ერის სიყვარული და პატივისცემა, ერთმანეთის ძმობა და ერთიანობა. გარდა ამისა, პროპაგანდის საშუალებანი ღირსეულად უნდა წარმოაჩენდეს ქართველ ერს, მის კულტურას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ტრადიციებს.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ასე არ ხდება. ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენი რადიო-ტელევიზიის გადაცემებს დამეთანხმება, რომ, განსაკუთრებით საინფორმაციო მუსიკალურ პროგრამებში, თითქმის განდევნეს ეროვნული მუსიკა. როცა ამ პროგრამების მუსიკალურ ნაწილს უსმენ, გგონია, საქართველოს რადიოს კი არა რომელიღაც უცხო ქვეყნის რადიოს უსმენ. რატომ შევაქციეთ ზურგი ქართულ მუსიკას, ვითომ აღარ არის საჭირო? საკუთარის უარყოფა, ყველაფერში დასავლეთის გაფეტიშება და მიბაძვა კარგს არაფერს მოგვიტანს. თუ ჩვენ საკუთარ ქვეყანაში პატივს არ ვცემთ ეროვნულ კულტურას და ტრადიციებს, სათანადო პროპაგანდას არ გავუწევთ მას, მაშინ რომელ ეროვნულ პატრიოტიზმზე შეიძლება ლაპარაკი? რატომ ხდება ასე? ჩვენ კვლავ ვდუმვართ, თითქოს არაფერი ხდება.

ყველა სიკეთესთან ერთად საქართველოში მეტად საშიში სახე მიიღო ნარკომანიამ. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ნარკობიზნესი. გამდიდრების მანიით შეპყრობილმა ჩვენმა თანამემამულემ ხელობად გაიხადა ნარკობიზნესი, ისინი უმოწყალოდ ავრცელებენ ამ საწამლავს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, რითაც სიცოცხლეს უწამლავენ ჩვენს შთამომავლობას, ჩვენ გოგო-ბიჭებს, რომლებიც ნელ-ნელა, შეუმჩნევლად კარგავენ ადამიანურ თვისებებს და იღუპებიან. მათთან ერთად იღუპება ჩვენი გენოფონდიც. ყველაფერი ეს ხომ ჩვენ თვალწინ ხდება? განა შეიძლება ამ უბედურებას დამშვიდებით უცქირო და არაფერი იღონო? მარტო პოლიციის ეპიზოდური ღონისძიებანი საქმეს ვერ უშველის. ნარკომანიას ბრძოლა სრულიად საქართველომ უნდა გამოუცხადოს.

ამბობენ, ნარკომანიამ სახელმწიფოს ხელმძღვანელ ორგანოებშიც შეაღწიაო, რის შესამოწმებლად ამ ცოტა ხნის წინათ სახელმწიფოს მეთაურმა სპეციალური განკარგულება გამოსცა. ალბათ შემოწმების შედეგი ფართო საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი.

ნარკომანიაზე არანაკლებ ტრაგედიას წარმოადგენს ზოგიერთი ქართველის საქციელი საზღვარგარეთ, განსაკუთრებით თურქეთში. თურმე, ნუ იკითხავ, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე საროსკიპოებში ყიდის ახალგაზრდა გოგონებს. უღირსი საქციელისათვის მრავალი თავგადაპარსული ქალი ბრუნდება სამშობლოში. კიდევ მრავალი უმსგავსოების შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგრამ ყველაფერი ეს ხომ ჩვენ თვალწინ ხდება, ჩვენ კი არანაირ რეაგირებას არ ვახდენთ, ვდუმვართ.

ჩვენ თვალწინ ნადგურდება სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა, მებაღეობა, ტყე. თითქმის განადგურებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ყოველწლიურად იშლება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. დაუმუშავებელი რჩება ათასობით ჰექტარი მიწა. არ იქნა და არ მოგვარდა სოფლის ნავთობპროდუქტებით მომარაგება, სოფლის მეურნეობის თავკაცები კი მიმდინარე მოვლენების ფიქსირებით არიან გართული. ხალხი შიმშილობს, პასუხს კი არავინ აგებს. ყველაფერი ეს ხომ ჩვენ თვალწინ ხდება, ჩვენ ჩვეულებისამებრ ვდუმვართ.

ბევრს ვლაპარაკობთ სოციალისტურიდან კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ, რომლის ძირითად ბერკეტს საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს. თითქოს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმა ხორციელდება, სინამდვილეში ფასების განთავისუფლების გამოცხადების გარდა საქმე ადგილიდან არ იძვრის. დღეს ქვეყანაში არც სოციალისტური და არც კაპიტალისტური ეკონომიკა აღარ არსებობს, საქმე თვითდინებით მიედინება, მაგრამ არავინ იცის საით. დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დროშით განუკითხაობა ბობოქრობს, გუშინდელი სპეკულანტი და თაღლითი დღეს ბიზნესმენის მანტიაშია გახვეული. სამწუხაროდ, ეკონომიკური რეფორმის ირგვლივ საქმიანობა თეორიული მსჯელობის ზღვარს ვერ გასცდა. ამ საკითხზე მრავალი ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტი გამოთქვამს მოსაზრებას, იძლევიან კონკრეტულ რეკომენდაციებს, მაგრამ მაინც არაფერი იცვლება. პასუხს კი არავინ აგებს, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ზეიმობს დაუსჯელობის სინდრომი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი სამთავრობო დადგენილება, განკარგულება თუ საოქმო გადაწყვეტილება ფურატინა ქაღალდად დარჩება, თუ არავინ იზრუნა მის შესრულებაზე და კონკრეტულ შემსრულებელს პასუხი არავინ მოსთხოვა.

მთელ რიგ სახელმწიფო უწყებაში გამეფებულია ბიუროკრატიზმი. შეგნებულად თუ შეუგნებლად აჭიანურებენ საკითხის განხილვას, რიგით ადამიანს მისთვის საინტერესო საკითხზე გარკვეული პასუხი არ შეუძლია მიიღოს, ფორმალური სახე აქვს ან საერთოდ უგულებელყოფილია განცხადებებისა და საჩივრების განხილვა. გაკვირვებას იწვევს, როცა ზოგიერთი თანამდებობის პირის პოპულისტურ გამოსვლას უსმენ, რომელიც მოხერხებულად სარგებლობს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარებით და საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს თვალებში ნაცარს აყრის. საქმეს ისე ხატავს, თითქოს არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდეს, ყველას რაღაც პრეტენზიას და მოთხოვნას უყენებს, თვითონ სიტყვაც არ დასცდება თუ რა უწესრიგობა ტრიალებს მის სამოქმედო ობიექტებზე, სადაც უპასუხისმგებლობა, განუკითხაობა, სახელმწიფო ქონების ძარცვა და შავი ბიზნესი ბატონობს, არავინ ფიქრობს ადგილობრივი საშუალებების გამოყენებაზე, სამაგიეროდ ზოგიერთი მათგანი ოპტიმალურად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას პირადი და მისი ახლობლების ბიზნესის გააქტიურებისათვის.

ყველაფერი ეს ხომ ჩვენ თვალწინ ხდება, ჩვენ კვლავ ვდუმვართ, თითქოს ყველაფერში წესრიგი გვქონდეს.

ვფიქრობ დროა თავი დავანებოთ დემოკრატობანის თამაშს, არ შეიძლება დემოკრატია შავი ბიზნესის საფარად ვაქციოთ, დემოკრატია სრულებითაც არ ნიშნავს განუკითხაობას და უპასუხისმგებლობას, ძარცვას, აქტიურ სპეკულაციას, დემაგოგიას, კანონის უგულებელყოფას და უსაქმურობას, დროა გონს მოვეგოთ და სანამ გვიან არ არის, საქმეს მოვკიდოთ ხელი. მხოლოდ თავდადებული შრომით შეგვიძლია ვიხსნათ ქვეყანა, მკაცრად მოვთხოვოთ ყველას, ვისაც არაფრად უღირს ერის ღირსება და დანგრეული ქვეყნის აღორძინება.

საქართველოში მიმდინარე რევოლუციური პროცესების პერიოდში ზედაპირზე მრავალი უსაქმური, დემაგოგი, კარიერისტი, ხელმოცარული და ფსიქიურად არაჯანსაღი ადამიანი ამოტივტივდა, რომელთა ნაწილი მოხერხებულად მიეტმასნა ეროვნულ მოძრაობას და თავს ერის ინტერესების დამცველად ასაღებს, სინამდვილეში კი პირადი ამბიციები და კარიერიზმი ამოძრავებს, სურს გარკვეული დივიდენდები და პრივილეგირებული მდგომარეობა მოიპოვოს. ასეთ ადამიანებს არაფრად უღირს სხვისი შეურაცხყოფა და ცილისწამება, ხალხში ინტრიგისა და უნდობლობის გაღვივება, კირკიმალობა და კანონებისადმი უპატივცემულობა. ვინ იცის მათ შორის რამდენს აქვს სული მიყიდული ეშმაკისათვის. არ გააჩნიათ რა პოლიტიკური საქმიანობის ელემენტარული კულტურა, თავიანთი საქმიანობით სერიოზულ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს აღმშენებლობას, ეროვნულ მოძრაობას და პოლიტიკური პარტიების ავტორიტეტს. რაც უფრო მალე გამიჯნავიან პოლიტიკური პარტიები ასეთ ადამიანებს, მით უფრო მალე ამაღლდება მათი ავტორიტეტი.

საქართველოში დღეს ბევრი ნიჭიერი პოლიტიკოსი და იმედისმომცემი ახალგაზრდა მოღვაწეობს, რომელთაც უნარი შესწევთ ობიექტურად შეაფასონ მიმდინარე მოვლენები, მთელი ძალ-ღონე მიმართონ პროვოკატორებისა და ეროვნული შუღლის გამღვივებელთა წინააღმდეგ, რათა არ დაუშვან ქვეყანაში დესტაბილიზაცია, ურთიერთდაპირისპირება, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. დღევანდელ ეტაპზე, როცა ქვეყანაში რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, ვფიქრობ, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და მათმა ლიდერებმა, ვისთვისაც ძვირფასია ქართველი ერის მომავალი, როგორმე უნდა შეძლონ მოთოკონ საკუთარი ემოციები, გამონახონ საერთო ენა და ერთიანი ძალით იბრძოლონ წესრიგის დამყარებისათვის, ქვეყნის აღორძინებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავი შევიკავოთ ქუჩის მიტინგებისაგან. თუ რა მოგვიტანა გაუთავებელმა მიტინგებმა, ყველანი კარგად ვხედავთ. ახალი მიტინგების აგორება ხომ ახალი არეულობის და ნგრევის მომასწავებელია? რის დანგრევაც შეიძლებოდა, დავანგრიეთ, ნუთუ კიდევ დარჩა რამე დასანგრევი? კარგად დავფიქრდეთ ვის აძლევს ხელს ახალი არეულობა, ურთიერთდაპირისპირება და შუღლის გაღვივება? რატომ ვასხამთ მტრის წისქვილზე ასე უხვად წყალს? სავარძლისათვის? ამისათვის რატომ მაინცდამაინც მიტინგებისა და დესტაბილიზაციის გზას ვარჩევთ? ხელისუფლებაში მოსვლისათვის ხომ არსებობს მშვიდობიანი, კანონიერი გზა, მით უმეტეს, რომ მალე ახალი კონსტიტუცია იქნება და ახალი არჩევნებიც შორს არ არის, მაშ რატომ ვამტვრევთ ღია კარს? დარწმუნებული ვარ ხალხი სერიოზულ დასკვნებს გააკეთებს წინა არჩევნებიდან და მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს გამოუცხადებს ნდობას, ალბათ ახალმა საარჩევნო კანონმაც უნდა გამორიცხოს შემთხვევითი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ხელისუფლებაში მოსვლისათვის მარტო სურვილი, მოწოდებები, კირკიმალობა და ხელისუფლების გაუთავებელი კრიტიკა როდია საკმარისი,— მაღალი სავარძლის მაძიებელს მოეთხოვება ერის სიყვარული (არა მოჩვენებითი), გონიერება, განათლება, კულტურა, გამოცდილება, რაც მთავარია მართვის ორგანიზატორული ნიჭი და უნარი, მორალური უფლება და სუფთა ხელები. მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეეძლებათ გაუძღვნენ ერს და ქვეყანა მძიმე კრიზისიდან გამოიყვანონ. რაც შეეხება განსხვავებული აზრის გარშემო პოლიტიკურ პაექრობას, ის უნდა ხდებოდეს ქვეყნის უმაღლეს ორგანოში — პარლამენტში და არა ქუჩაში. პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ როგორც ოპოზიციის, ისე პოზიციის წარმომადგენლები, მთავრობა კი ხალხს უნდა პატრონობდეს, თუ გვინდა დავძლიოთ სიძნელეები და ქვეყანაში მივაღწიოთ სტაბილიზაციას.

ლევან ვარდოსანიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პარლამენტის წევრი.

ჭამა ქონებაზე აკიდია, ქონება — გარჯაზე

აგვისტოს ერთი დღე თეთრ წყაროში

თეთრი წყაროს რაიონში დროულად დაიწყო და შემჭიდროებულ ვადებში მომკეს, გალეწეს და დააბინავეს თავთავიანი კულტურები. ჰექტარზე საშუალოდ 17-18 ცენტნერი გალეწეს (ეს კულტურა რაიონში 570 ჰექტარზე ეთესათ), არც საწვავზე დაუწუწუნიათ და არც [illegible] ნაწილებზე.

პირუტყვის საკვებიც საკმაოდ დაამზადეს.

კარგად გაისარჯნენ ჯორჯიაშვილის, ბორბალოსა და ორბეთის მეურნეობების მშრომელები, მათ წარმატებით დაიწყეს აგრეთვე საშემოდგომო ხვნა-თესვა და სხვა სამუშაოები.

სურათებზე: თეთრი წყაროს რაიონის მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობის ნაკვეთზე, — მარცხნიდან: კომბაინერი მარტინ ბაინდურიანი, მთავარი აგრონომი შალვა ჭამალაშვილი და რაიონის აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსი ანზორ მესხიშვილი; უფროსი მექანიზატორი რომან სულხანიშვილი; საკვების დამზადება თეთრი წყაროს მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობაში; ჯორჯიაშვილის მეთესლეობის სახელმწიფო მეურნეობის მექანიზატორი სულიკო გაჩკალიშვილი; ჯორჯიაშვილის მეთესლეობის მეურნეობის სახნავ ფართობზე ინჟინერ-მექანიზატორი ნუგზარ ბაიაშვილი; მეურნეობის დირექტორი გია ბოშიჩაიშვილი და სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი დავით ბერიძე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტორეპორტაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლმსაჯულება

შნდა შემუშავდეს პირველი სისხლის სამართლის კოდექსი

საისტორიო დოკუმენტებით დადასტურებულია, რომ ძველი ქართული სამართალი, სამართლებრივი აზრი, იურიდიული კულტურა თავის დროსთან შედარებით განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდა. მარტო ის რად ღირს, რომ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ექვთიმე მთაწმინდელმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა „მცირე რჯულის კანონი", რომელსაც მისეული კომენტარები დაურთო. მან შექმნა პროგრესული მოძღვრება ბრალის შესახებ, სუბიექტური მხარის აღსანიშნავად დაამკვიდრა სპეციალური ტერმინი „ბრალი". ექვთიმე განასხვავებს „ნებსით" და „უნებლიედ" ჩადენილ დანაშაულს. უნებლიედ ჩადენილი დანაშაული მას მიაჩნია უფრო მსუბუქად, ვიდრე ნებსით ჩადენილი დანაშაული, უფრო მეტიც, გამორიცხავს პასუხისმგებლობას შემთხვევის დროს, ხოლო განზრახვას ბრალის ძირითად ფორმად მიიჩნევს.

ძველი ქართული სამართალი ითვალისწინებდა დანაშაულის მცდელობას, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, აწესებდა შედარებით მსუბუქ სასჯელებს. შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი იდეები, პრინციპები და ნორმები ყველაზე თანამიმდევრულად აისახა სჯულმდებელი მეფის ვახტანგ მეექვსის კოდიფიკაციაში, კერძოდ სამართლის წიგნში (XVIII ს.).

სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ საქართველოში რუსეთის კანონმდებლობა მოქმედებდა. მცირე ხნით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში (1918-1921) მაშინდელმა ხელისუფლებამ მოასწრო ზოგიერთი სამართლებრივი აქტის გამოცემა, მაგრამ ჟამთა სიავის გამო ვეღარ შეძლო სისხლის სამართლის კოდექსის მიღება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი სამჯერ იქნა მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი (1922, 1928, 1960). ამჟამად, ჯერჯერობით, ისევ მოქმედებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1960 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც ბოლო წლებში რესპუბლიკის პარლამენტმა მრავალი ცვლილება თუ დამატება შეიტანა. ამის მიუხედავად, ეს კოდექსი სრულიად არ შეესაბამება ამჟამინდელ რეალობას, რაც გამოწვეულია ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ურთიერთობების, საერთოდ, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების შეუქცევადი პროცესით.

ამრიგად, **უნდა შემუშავდეს არა მოქმედი კოდექსის ახალი რედაქცია, არამედ საქართველოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსი.**

კოდიფიკაციის პროცესში გადასაწყვეტია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შემდეგი უმნიშვნელოვანესი საკითხები: 1) განსასაზღვრია ის ფუნდამენტური პრინციპები და დებულებები, რომლებიც წარმოადგენს დანაშაულობასთან ბრძოლის საფუძველს; 2) დასადგენია მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წრე, რომლებიც დასჯადად უნდა იქნას მიჩნეული (კრიმინალიზაცია). ამასთან ერთად, დასაზუსტებელია ქმედებათა ნუსხა, რომლებიც უნდა ამოირიცხონ დანაშაულთა კატალოგიდან (დეკრიმინალიზაცია); 3) უნდა დადგინდეს სასჯელთა სისტემა, სასჯელის სახეები და ზომა, რომელიც უნდა შეეფარდოს ქმედების ჩამდენ პირს (პენალიზაცია) და აგრეთვე პირობები, რომელთა არსებობისას დაშვებული იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება (დეპენალიზაცია).

სამწუხაროდ, ამჟამად საკოდიფიკაციო მუშაობა მიმდინარეობს ისეთ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში არსებული უმძიმესი კრიმინოგენული ვითარება უაღრესად ართულებს ოპტიმალური, ხანგრძლივი დროისათვის გამიზნული, სტაბილური და თანაც მოქნილი კოდიფიცირებული აქტის შემუშავებას. ამის გამო ჩვენ ასეთი მწვავე საკითხის გადაჭრა მოგვიწევს: როგორი უნდა იყოს კოდექსი — იგი ამჟამინდელი უკიდურესად დაძაბული სიტუაციის განმუხტვას უნდა ისახავდეს მიზნად, თუ „ჩვეულებრივ დანაშაულობებთან" ბრძოლას?

მიმაჩნია, რომ **უნდა გამოიძებნოს „ოქროს შუალედი", როდესაც: ა) პერსპექტიული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის საფუძველზე იმთავითვე გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსალოდნელი ცვლილებები და ბ) შესაძლებლობის ფარგლებში დაისახება ამჟამინდელი კრიმინოგენული სიტუაციის განმუხტავი ღონისძიებები.**

სისხლის სამართლის კოდექსში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აისახოს ის ფუძემდებლური, დემოკრატიული პრინციპები, რომელთა მიხედვითაც უნდა განისაზღვროს კოდექსის ყველა ნორმა დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. მათ სავალდებულო ძალა ექნებათ როგორც კანონმდებლის, ისე სამართალდამცველი ორგანოებისათვის. იმავდროულად ეს პრინციპები ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მიერ კოდექსის შინაარსის უკეთ ათვისებას და, საბოლოო ჯამში, მათი მართლშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.

კანონიერების პრინციპიდან („არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონის გარეშე") წარმოდგება იმის აუცილებლობა, რომ კოდექსის თითოეული მუხლი ნათლად და ერთმნიშვნელოვნად იყოს ჩამოყალიბებული. ამ თვალსაზრისით ბევრად ცოდავს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი. იგი გადატვირთულია განუსაზღვრელი ცნებებით („დიდი ოდენობა"; „განსაკუთრებით დიდი ოდენობა", „სხვა მძიმე შედეგები", „უაღრესად დიდი ცინიზმი", „განსაკუთრებული თავხედობა" და ა. შ.). ასეთ ვითარებაში არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ სხვადასხვა მოსამართლემ სხვადასხვანაირად განმარტოს ასეთი ცნებები და ამით შეილახოს კანონის წინაშე ყველას თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი.

ერთობ რთული საკითხია დასჯად ქმედებათა ცალკეულ ჯგუფებად კლასიფიკაცია. აქ უსათუოდ ყურადსაღებია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ასეთივე კოდექსის ნორმები. ამის საფუძველზე დასჯადი ქმედებები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: სისხლისსამართლებრივი გადაცდომა და დანაშაული. გადაცდომად ჩაითვლება შედარებით ნაკლებად საშიში ქმედება, რომლისთვისაც დაწესდება თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი. გადაცდომა არ გამოიწვევს ნასამართლობას და სხვა მძიმე შედეგებს, რომლებიც მოჰყვება დანაშაულის ჩადენას. რაც შეეხება დანაშაულს, ასეთად მიჩნეული იქნება უფრო საშიში ქმედება, რომლისთვისაც სასჯელად შემოღებული იქნება თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით. თავისუფლების აღკვეთის ვადის ხანგრძლივობის კვალობაზე თავის მხრივ დანაშაული დაიყოფა სამ ჯგუფად: 1) ნაკლებად მძიმე დანაშაული, 2) მძიმე დანაშაული და 3) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო ორგანიზებულმა დანაშაულობამ, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ თუ სოციალურ სტრუქტურებს. ერთი რამ უცილობელია: ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლას ხელს ვერ უწყობს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა. ამ მიმართულებით სისხლის სამართლის კოდექსში უნდა დაზუსტდეს დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმები და სახეები, ნათლად უნდა განისაზღვროს წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის, ორგანიზებული ჯგუფისა და დანაშაულებრივი გაერთიანების ცნებები; დაწესდეს ასეთ დანაშაულთა წინააღმდეგ სასჯელის მკაცრი სახეები და ზომები.

მოსაფიქრებელია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღების საკითხი. საქმე ის არის, რომ ამჟამად მოქმედი სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც ადგენენ მხოლოდ ფიზიკური პირის პასუხისმგებლობას, მაგალითად, ეკოლოგიური დანაშაულისათვის (წყალსაცავების, ზღვის, მდინარის გაბინძურება და ა. შ.) სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება უპირატესად მეთევზეებისა თუ მონადირეების წინააღმდეგ. არადა, სწორედ იურიდიული პირის საქმიანობა ხშირად აურაცხელ ზარალს იწვევს, რაც მრავალჯერ აღემატება ფიზიკური პირის ქმედებით გამოწვეულ ზარალს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სასჯელთა სისტემისა და მათი შეფარდების საკანონმდებლო მოწესრიგების საკითხი. მაგალითად, მოსაფიქრებელია თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის საკითხი. ამჟამად ასეთ ვადას წარმოადგენს 15 წელი. ამ საკითხის გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული იმისაგან, დარჩება თუ არა სასჯელის სახედ სიკვდილით დასჯა. უცხოეთის ბევრ სახელმწიფოში სიკვდილით დასჯის გაუქმების ხანაცვლოდ სამუდამო თავისუფლების აღკვეთა შემოიღეს. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ჩვენეული საზოგადოებრივი აზრი ვერ შეურიგდება სიკვდილით დასჯის გაუქმებას დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისათვის. ყოველ შემთხვევაში, თუ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახი მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა შენარჩუნებული იქნება, მაშინ სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთათვის თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით უნდა განისაზღვროს. გარდა ამისა, საზოგადოებრივი აზრი დაბეჯითებით მოითხოვს სიკვდილით დასჯის დაწესებას ნარკოტიკების გამავრცელებელთა მიმართ.

მეტად პრობლემურია სასჯელად გადასახლების დატოვება. ამ სასჯელის მოხდა უპირატესად ციმბირში ხდებოდა. ასეთი ციმბირი ჩვენს წალკოტ ქვეყანაში არა გვაქვს. რაც შეეხება გასახლებას, იგი შეიძლება დარჩეს, რადგან ამით შესაძლებელი ხდება ისეთი დამნაშავის გაძევება ამა თუ იმ ქალაქიდან თუ სოფლიდან, სადაც იგი დაკავშირებული იყო სოციალურად საშიშ პირებთან. გაუმართლებელია სასჯელის სახედ საზოგადოებრივი გაკიცხვა. გაუმართლებელია იმიტომ, რომ თუ ქმედება საზოგადოებრივ გაკიცხვას იმსახურებს, მაშინ იგი საერთოდ არც უნდა იქნეს მიჩნეული სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად. ასევე აღარ უნდა იქნას შეტანილი სასჯელი — თანამდებობიდან დათხოვნა. ეს ღონისძიება მისი ბუნების დისციპლინური სახდელია. ღრმა გააზრებას მოითხოვს ქონების კონფისკაცია, როგორც სასჯელი, რომელიც ასე ხშირად არის გათვალისწინებული მოქმედ კოდექსში. იგი, ფაქტობრივად, დამნაშავის ოჯახის წევრთა მატერიალურ გაპარტახებას ნიშნავს. ჩემი აზრით, იქნებ სამუშაო ვარიანტად დაგვესახა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს არა საერთოდ **ქონების კონფისკაციას**, არამედ მხოლოდ **დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების კონფისკაციას**. თავისუფალი შრომითი ხელშეკრულების, პრივატიზაციისა და უმუშევრობის პირობებში სათუო ხდება თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოები. შეიძლება ამ სასჯელის ფუნქცია ნაწილობრივ შევუთავსოთ სავალდებულო სამუშაოს, რომელსაც მსჯავრდებული უფასოდ შეასრულებდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრულ ობიექტებზე. საინტერესოა როგორ აღიქვამს სამართალდამცავი ორგანოები და საზოგადოებრივი აზრი ასეთ წინადადებას: სასჯელის ერთ-ერთ სახედ ნაკლებად საშიში ქმედებისათვის დავაწესოთ თავდებობა.

საერთოდ, სასჯელის სახეთა გონივრულად მოფიქრებული სიმრავლე უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს, შეუფარდოს განსასჯელს სამართლიანი სასჯელი, რაც ინდივიდუალური გაფრთხილების (სპეციალური პრევენციის), ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

კოდექსის პროექტში უფრო ფართოდ იქნება გათვალისწინებული ქმედითი მონანიება, როგორც სასჯელის გამომრიცხველი გარემოება. იგივე ითქმის ე. წ. მასტიმულირებელ ნორმებზე. ახლებურად უნდა მოწესრიგდეს ნასამართლობის გაქარწყლებისა და მოხსნის საკითხები. ამჟამად მრავალ შემთხვევაში ნასამართლობა ხელს უშლის პირის რესოციალიზაციას, რეაბილიტაციას, სწორ გზაზე დადგომას. უფრო მეტიც, მაწანწალობის, მათხოვრობისა და, რაც მთავარია, ახალი დანაშაულის ხელშემწყობ პირობად იქცევა. ამიტომ საგანგებოდ უნდა დაწესდეს, რომ ნასამართლობას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ძირფესვიანად შესაცვლელია ნორმები ეკონომიკურ და სამეურნეო დანაშაულთა შესახებ. დანაშაულად უნდა იქნას მიჩნეული ცრუმეწარმეობა, მოტყუებით კრედიტის მიღება, ფასიანი ქაღალდების გამოშვების (ემისიის) წესების დარღვევა, ცრუ და ბოროტეული გაკოტრება, ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დარღვევა, კომერციული მოქრთამვა და მოტყუება, სამრეწველო ჯაშუშობა და სხვ.

მოკლედ რომ ვთქვათ, სამკალი მართლაც ბევრია და თვით მომკელთა გამჭრიახობასა და დაძაბულ ინტელექტუალურ შრომაზეა დამოკიდებული ამ წერილში ძალიან შეკუმშულად ასახული საკითხების დროულად და წარმატებით გადაწყვეტა.

გიორგი ტყეშელიაძე,
პროფესორი, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი კომისიის ხელმძღვანელი.

განგაში

მივხედოთ სადგურის მოედანს

თბილისის რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქციის შემდეგ ოდესღაც მშვიდი და მიყუჩებული გოგოლის ქუჩა თითქმის სადგურის მოედანზე აღმოჩნდა, რამაც დაარღვია ჩვენი მშვიდი ცხოვრება. ის, რაც ამჟამად სადგურის მოედანზე ხდება, ალბათ, არც ერთ არაცივილიზებულ ქვეყანაშიც კი არ შეიძლება იყოს.

ქალაქის ცენტრში, მჭიდროდ დასახლებულ სადგურის მოედანზე თავმოყრილია თითქმის მთელი საქართველოს კომერციული ავტობუსები, განუწყვეტლივ არის საშინელი ხმაური, იწამლება გარემო და გამეფებულია ანტისანიტარია. ერთი სიტყვით, ჩვენს ქუჩაზე გამუდმებით დგანან მოგრუხუნე და მბოლავი „იკარუსები". ასეთი განუკითხაობა და მოსახლეობის აბუჩად აგდება ზღვარს სცილდება.

გვესმის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ალბათ, ქალაქში კომერციული ავტოსადგურის არსებობას ითვალისწინებს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუარესების გზით.

მივმართეთ ქალაქ თბილისის ხელმძღვანელობას — გაითვალისწინონ ჩვენი აუტანელი მდგომარეობა და მიიღონ ზომები ავტოსადგურის სხვაგან, უფრო შესაფერის ადგილზე გადასატანად, ეს ხომ უშუალოდ მათ კომპეტენციაში შედის.

იმედია, ამ ჩვენს თხოვნას სათანადო შედეგი მოჰყვება.

გოგოლის ქუჩა № 60, 62, 64, 66, 68 და 70-ის მცხოვრებნი — სულ 81 ოჯახი.

უმაღლესი სკოლა

ინსტიტუტთან შექმნილია ლიცეუმი

— **ამა** თუ იმ სასწავლებელში სწავლების ხარისხი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეფასდება რეალურად, თუ ყველა სტუდენტი, როგორც სახელმწიფო, ისე ფასიანი ინსტიტუტისა, ერთნაირ პირობებში ჩააბარებს გამოსაშვებ გამოცდებს სახელმწიფო კომისიას, — მეუბნება ფირმა „AB და CO"-თან არსებული ფასიანი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სამედიცინო ბიოლოგიური აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ჯენარო ქრისტესაშვილი**. — ეს კომისია დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების და მეცნიერებათა აკადემიის ბაზაზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა უარვყოთ კონკურენცია, როგორც პროგრესის მასტიმულირებელი ძალა...

— **უამრავი ექიმი გვყავს, მაგრამ კარგი მკურნალი მაინც ძნელად საძებნია, როგორ ფიქრობთ, ამ საქმეს ფასიანი სასწავლებლები უშველის?**

— დიახ, გეთანხმებით, დღეს ჩვენ არ გვაკმაყოფილებს უმაღლეს სასწავლებელთა მიერ მომზადებული სპეციალისტების, კერძოდ, ექიმთა დონე. სწორედ ეს მდგომარეობა ბადებს სურვილს ახალგაზრდების მოსამზადებლად ვეძიოთ ახალი გზები. ვერ გეტყვით, რომ ფასიანი უმაღლესი სასწავლებლები ყველა შემთხვევაში ამართლებს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომლებიც მათ წაეყენებათ, მაგრამ სწორედ აქ უფრო მკაცრად უნდა გამოვლინდეს სახელმწიფოს როლი ამ პროცესის მოწესრიგებაში. კერძოდ, პროგრამების, ბაზების, პედაგოგიური კადრების გულდასმით შემოწმებისა და შეფასების სახით.

სტუდენტებთან, ახალგაზრდა ექიმებსა და ასპირანტებთან მუშაობამ დამარწმუნა, რომ კადრების აღზრდა აუცილებლად მოითხოვს დიდ ენერგიას, საქმით გატაცებას და პასუხისმგებლობას. იმისათვის, რომ ახალგაზრდას ასწავლო, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მისცე მას აუცილებელი ცოდნა, ხოლო შემდეგ, მკაცრად და თანამიმდევრულად მოსთხოვო. მიმაჩნია, რომ ჩვენს ინსტიტუტში შემოკრებილი საუკეთესო, ენთუზიაზმით აღსავსე, მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრები საშუალებას მოგვცემენ მაღალი დონის ცოდნა მივცეთ სტუდენტებს. ჩვენს მიერ გამოყენებული დისციპლინათაშორისი ჰორიზონტული პროგრამები საფუძვლიანად მოამზადებს სტუდენტებს და ხელს უწყობს საექიმო აზროვნების ჩამოყალიბებას. ინსტიტუტში ძალზე ფართოდ შეისწავლება ბიოქიმია, პათანატომია და ფარმაკოლოგია, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული კლინიკურ დისციპლინებთან.

— **კიდევ რა სიახლეა თქვენს ინსტიტუტში?**

— სამედიცინო ინსტიტუტების პრაქტიკაში, პირველად საქართველოში, სტუდენტები შეისწავლიან ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა კლინიკური გენეტიკა, სამედიცინო ფსიქოლოგია და რეპროდუქტოლოგია. სწავლება პედაგოგების შესაბამისად ხდება ექიმთა საერთაშორისო სერტიფიკატის გათვალისწინებით, აქედან გამომდინარე, უცხო ენის შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა.

უდავოდ აღსანიშნავი სიახლეა ინსტიტუტთან დაწყებითი სპეციალური განათლების ეტაპის — სპეციალიზებული სამედიცინო-ბიოლოგიური ლიცეუმის შექმნა. ამ სასწავლებლის დაფუძნება იმან განაპირობა, რომ, მოგეხსენებათ, დღეს არსებული ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სკოლებში მოსწავლეთა მომზადების დონე ძალიან დაბალია, რაც, რასაკვირველია, გარკვეულ გავლენას ახდენს შემდგომ ინსტიტუტში სწავლებაზე.

ჩვენს ლიცეუმში სპეციალური საგნების პედაგოგებად მოწვეულნი არიან ასევე მაღალკვალიფიციური კადრები, რაც შესაძლებელს გახდის შეიქმნას სწავლების უწყვეტი პროცესი — ლიცეუმიდან დაწყებული ინსტიტუტით დამთავრებული. ლიცეუმში მიიღებენ ცხრაკლასდამთავრებულ მოსწავლეებს. ლიცეუმის წარჩინებული კურსდამთავრებულები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ჩვენს ინსტიტუტში.

კიდევ მრავალ გეგმაზე გვესაუბრა ახალი უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, კერძოდ, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან კონტაქტებზე, კლინიკური ბაზების შექმნაზე, მედიცინის ისეთი თანამედროვე მიმართულების დანერგვისა და განვითარების მიზნით, როგორიც არის ენდოსკოპია, პლასტიკური ქირურგია, კლინიკური გენეტიკა და სხვ.

ინტერვიუს დასასრულს კი დაბეჯითებით გვითხრა: „AB და CO"-ს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში არსებობს თანამოაზრეთა გუნდი, რომელთაც აერთიანებს ერთი იდეა — თავისი წვლილი შეიტანონ მაღალკვალიფიციური საექიმო კადრების აღზრდაში.

ლარისა ხუბულური.

პოლემიკა

დღეს ბათუმში ჩემს თბილისს ვიცავ!

ერთი ფილოსოფოსის თავდასხმების გამო

ახლახან გაზეთებში „საქართველო" და „თავისუფალი სიტყვა" რესპუბლიკური პარტიის „რუპორი", ფილოსოფოსი მიხეილ მახარაძე, რომელიც აჭარის დღევანდელი ხელისუფლებისადმი უსაზღვრო სიძულვილითა და კრიზაში დგომითაა ცნობილი, მორიგი პასკვილებით ცდილობს, ბრალი დადოს „კონფრონტაციული ტენდენციების" გაღვივებაში აჭარასა და საქართველოს სხვა რეგიონებს შორის.

ღმერთო გვიშველე, სადამდე შეიძლება მივიდეს ზოგჯერ მკრეხელობა, ბრმათა და ურწმუნოთა!

პირდაპირ გეტყვით: მიხეილ მახარაძესთან და მის „გუნდთან" პაექრობას მაშინ მოვერიდე, როდესაც „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე დავბეჭდე: — „ჩიტი", რომელიც ბლვდნად არ ღირს". ახლაც ამასვე ვიტყოდი იმ პასკვილებზე, რომლითაც ჩიტკორესპონდენტი მ. მახარაძე ასე აყროლებს „რესპუბლიკელთა" გაზეთების გვერდებს.

კიდევ კარგი, მე ერთადერთი არ გახლავართ ასეთ შეფასებებში. ვინ მოთვლის, აჭარის რამდენი ცნობილი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კრიტიკული წერილი დაიბეჭდა ჩვენს პრესაში მ. მახარაძის ამ გაუთავებელი პასკვილების გამო, მაგრამ... რად გინდა, შეაყარე კედელს ცერცვი! — იგი ისევ ჩვეული „მახარაძისეული" სწრაფვით და ჟინით მაინც გაჰკივის: — უშველეთ, იღუპება აჭარა მავანთა ხელში!

თუ პირიქით იტყვით, — მაშინ სულ ცოტა: კონფრონტატორის, „გასტროლიორი ჟურნალისტის", „შედარებით ხელუხლებელ მხარეში გაბარგებული კაცისა" და სხვა სახის ეპითეტები არ აგცდებათ.

დღეს განა მარტო თქვენი მონამორჩილი შრომობს აჭარაში?

თვალი კარგად გაახილეთ და დაჰკვირდით ვინ აყალიბებს აქ საოპერო თეატრს, ვინ დგამს სპექტაკლებს, ვინ სტამბავს შესანიშნავ ქართულ გამოცემებს, ვინ აწყობს არაჩვეულებრივ გამოფენებს, ახალი სალიტერატურო ჟურნალების პრეზენტაციებს, ვინ ანთებს ქართული ბუნებრივი გაზის ჩირაღდნებს, ვინ აშენებს და ამკვიდრებს აქ სიკეთეს, რომელსაც ასეთ უდიდეს შეფასებას აძლევს ყველა ჭეშმარიტი ქართველი მოღვაწე, მთელი საქართველო — (ცხადია, „რესპუბლიკელთა" გამოკლებით), — „გასტროლიორები"?

რატომღა დაგვიტოვეთ ხულოელმა კაცმა აქაურობა „საგასტროლოდ", მიხეილ ბატონო? მერედა, დაგიმალათ ვინმემ თქვენი წილი ქვა გადაგეგორებინათ მშობლიურ კუთხეში? მაგრამ... არ ჩამოგესვლებათ, რადგან კარგად იცით, რომ თქვენი „ფილოსოფიითა" და „ჟურნალისტიკით" აქ ფონს ვერ გახვალთ.

ლანძღვა-გინება, იარლიყების მიწებება და შეურაცხყოფა, დღეს ყველაზე იოლი გამოსავალია იმათთვის, ვინც ცდილობს, როგორმე ადგილი დაიმკვიდროს არა მარტო პოლიტიკაში, ჩვენს დღევანდელ ე. წ. „ჟურნალისტიკაშიც", რა ვიცი, სხვაგანაც ვყოფილვარ „საგასტროლოდ", მაგალითად, სამაჩაბლოში, მაგრამ ასე თავი არ გამოგიდიათ ჩემი მოღვაწეობისა თუ პრესცენტრის საქმიანობის გაშუქებისათვის. იცით, რა მითხრა ერთმა თქვენმა ახლობელმა კაცმა: — ჩვენი მიშა. სიძულვილმა ისეთ კუროს დაამსგავსა, საკუთარ დ...ს რომ იკურკურებოდაო. თქვენ უკეთ გეცოდინებათ, ასე ამბობენ თურმე, აჭარაში გამდგარ-გახელებულ შვილზე.

არ გჯერათ, ბატონო? — ჩამობრძანდით და თვალად დარწმუნდებით!

ისე კი, თუ კაცი კაცად არ ვარგა, ვერც მახარაძეობა უშველის და ვერც გეოგრაფიული ადგილსამყოფელი — თბილისში იქნება თუ ბათუმში! მე რომ მკითხოთ, დღეს ბათუმში ჩემს თბილისს ვიცავ, ცხადია, ჩემივე შესაძლებლობების ფარგლებში. ამიტომაც, შეგნებულად არაფერს ვიტყვი იმ „ბრალდებების" გამო, რადგან ამაზე ჩემზე გაცილებით მაღალკომპეტენტურმა ავტორიტეტებმა გაგცეს პასუხი. მეც შეგახსენებთ:

აჭარის საზოგადოებრიობის ამასწინანდელი შემაშფოთებელი მიმართვის პასუხად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა გამოსცა დადგენილება. იგი ითვალისწინებს იმ პრობლემებში გარკვევას, რომელიც დღეს ასე აწუხებს და აშფოთებს აჭარას, მის ხელმძღვანელობას, აქაურ საზოგადოებრიობას, მათ შორის ჩვენც, ჟურნალისტებსაც.

სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოყოფილი კომისიის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიანმა, რომელიც ეცნობოდა ბოლო ხანებში აჭარაში შექმნილ ვითარებას, საჯაროდ დაადასტურა: მართლაც არსებობს ასეთი შეშფოთების საფუძველი. რესპუბლიკის ხელისუფლება, ალბათ, მიიღებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა აჭარაში არ დაირღვეს სიმშვიდისა და აღმშენებლობის ატმოსფერო.

განა სწორედ ამ პრობლემებზე არ ვწერდი იმ სტატიაში, თქვენ რომ თავდასხმის ობიექტად აირჩიეთ?

ალბათ, მოისმინეთ სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლა მთავრობის ამასწინანდელ სხდომაზე. იქ ბევრი ის პრობლემაც გადაწყდა, რის შესახებაც ვწერდი ჩემს პუბლიკაციაში „ზღვა, ნავსადგური და „ტენდენცია", რომელიც ეხებოდა ბათუმის ნავსადგურის გაუმართლებელ ბლოკირებას და სხვა პრობლემებს, ასე რომ აფერხებს არამარტო თქვენი „მშობლიური" აჭარის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის გამოსვლას კრიზისიდან.

და ბოლოს: მოხდა ისე, რომ სწორედ იმ საკითხებზე, რის გამოც თქვენ ლანძღვა-გინებით მიკლებთ, ახლახან „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა სასიქადულო მწერლისა და მამულიშვილის რევაზ ჯაფარიძის სტატია „ნუ ჩავცემთ გულში ლახვარს!" მასში მთელი სიცხადითა და სიმართლით არის დანახული თქვენი და თქვენი პარტიული მეურვეების „საქმენი საგმირონიც" და ის ღვარძლიც, რომელსაც თქვენ ასე ანთხევთ აჭარის, მისი ხელისუფლების მიმართ.

ელემენტარული მოკრძალების გამო, სრულად ვერ მოვიტან ციტატას ბატონ რევაზის სტატიიდან, სადაც ის ერთგვარ შეფასებას აძლევს ჩემს ამასწინანდელ პუბლიკაციაში („და მეც ვყვირი: — აჭარა ჩემი!") მოტანილ ფაქტებს. იგი დასძენს — სტატიის წაკითხვის შემდეგ აქ (ლაპარაკია ბათუმზე), ნანახმა და განცდილმა თავზარი დამცაო.

რატომ თქვენ არ გცემთ თავზარს ყველაფერი ეს?

ნუთუ არასოდეს დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რამდენად შეუწყო ხელი თქვენმა პასკვილებმა აჭარაზე იმ ძალებს, რომლებმაც აიძულეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადრე ჩასახლებული თქვენივე თანამოძმეების ათასზე მეტი ოჯახი აყრილიყვნენ და ისევ უკან მიბრუნებულიყვნენ აჭარის მთიანეთში?

მოვა დრო და ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით მოვახსენებ ჩვენს მკითხველებს. ისე კი ბატონ რევაზ ჯაფარიძის თანადგომა ათასჯერ მირჩევნია თქვენი „ფილოსოფიური" თუ „ჟურნალისტური" ტრაქტატების ტომებს, რატომ?

იმიტომ, რომ სიმართლეს წინ ვერაფერი დაუდგება!

რაც შეეხება ჩემს „გასტროლებს" და მომავალ გეგმებს აჭარაში, ნება გვიბოძეთ ეს ყველაფერი გარკვეულ დრომდე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" შიდასარედაქციო პატარა საიდუმლოდ დარჩეს.

სიურპრიზს კი, რა თქმა უნდა, გპირდებით.

გია ჭელიძე,
„სრ" აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი.

ძვირფასო თანამოქალაქენო!
სააქციო კომერციული ბანკი
„კავკასიის ბიზნეს ბანკი"
აგრძელებს სავალუტო კრედიტების გაცემას,
გირაოში ძვირფასი ლითონებისა
და ნაკეთობების დატოვებით.
საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება
კრედიტის აღებასთან შეთანხმებით.

სავალუტო კრედიტების გაცემა შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 16,
მშენებლობის სამინისტროს შენობაში, პირველ სართულზე,
მეტროს სადგური „სამედიცინო ინსტიტუტი"
ტელეფონი 37-44-51.

ბანკის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ითვალისწინებს
კრედიტის ამღებთა ინტერესებს!

მუსიკალური რადიოკომპანია
"RADIO 105"
აცხადებს კონკურსს წამყვანის (D.J.)
თანამდებობაზე
კონკურსანტს მოეთხოვება ინგლისური ენის მინიმალური ფლობა და თანამედროვე პოპ-მუსიკის ტენდენციების ცოდნა.
კონკურსი 2 სექტემბერს იწყება!!!
მის: დავით აღმაშენებლის 89/24 (მეტრო „მარჯანიშვილის" თავზე) მეხუთე სართული
მიღების დღეები და საათები: ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი, 15-დან 17- საათამდე
ტელ: 95 24 46, 96 74 37

თუ გსურთ, სწრაფად და უმტკივნეულოდ მოიშოროთ დამწვრობა, ჩირქოვანი იარები, ბუასილი, ეგზემა, კუჭის წყლული, სოკოვანი დაავადებები, ქალური დაავადებები, მიაკითხეთ შემდეგ მისამართზე:
ჩუღურეთის რ-ნი,
მარჯანიშვილის ქ. №59.
[illegible]
ინახულეთ, კმაყოფილი დარჩებით!
96-04-04, 96-04-81

ფირმა «PrintShop»
თბილისი,
ცირხალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.



უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
საფირმო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს
PS L.T.D

სპეციალური სამსახური
„008"
იწვევს სამუშაოდ მძღოლებს
საკუთარი მანქანებით.
ც. დადიანის 26 III სართული
ტელ: 66-57-86; 66-17-31; 66-17-86.

საზღვარგარეთის ნებისმიერი
ავტომანქანისთვის ვამზადებთ სათადარიგო
ნაწილებს, „გამანაწილებელ ლერძებს"
დედნის მიხედვით.
ინდ. მეწარმე ომარ ლაპიაშვილი
მისამართი: ნაძალადევის რ-ნი, ახალდაბის 39.
ტელ: 61-85-83

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საქინფორმის იტყობინება

პური გნებავთ? ინებეთ!

„თბილისპურვაჭრობის“ მაღაზია, რომელიც მერაბ კოსტავას, ლეო ქიაჩელის სახელობის ქუჩებისა და ვერეს ღელმართის გადაკვეთაზე მდებარეობს, ორი დღის მანძილზე უფასოდ არიგებდა პურს. მოქალაქეები, რომლებიც ამ და სხვა ქუჩებზე ცხოვრობენ, მაღაზიის თანამშრომლებს წარუდგენდნენ პურის ტალონებს და უფასოდ მიჰქონდათ მათთვის საჭირო პროდუქტი.

მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესების უფრო სრულყოფილ გზას მიაკვლიეს აგრეთვე 36-ე პურის მაღაზიის გამყიდველებმაც. აქ ახლა მუშაობას ადრინდელზე 5 საათით ადრე იწყებენ. პურ-ფუნთუშეულის 4 სხვადასხვა დასახელების ნაწარმს კი გვიან ღამემდე ჰყიდიან.

კუპონი აფართოებს სარბიელს

თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები, ბაქნები, დისტანციები და სხვა ნაგებობები დაამშვენა წარწერამ „აქ შეგიძლიათ შეიძინოთ მეტროპოლიტენით მგზავრობის ერთთვიური სამგზავრო ბილეთები, აგრეთვე გადაიხადოთ ქართული კუპონით“.

მომსახურების ეს მეთოდი თბილისელებს საშუალებას აძლევს ბევრად ნაკლები დრო დახარჯონ ბილეთების შეძენასა და სასურველ პუნქტში მისვლისათვის, რაც, თავის მხრივ, სადგურების, ესკალატორების, გამშვები პუნქტებისა და საწარმოს სხვა დანაყოფთა მუშა-მოსამსახურეებს შრომის კეთილისმყოფელ გარემოს უქმნის, ხოლო მგზავრებს — უფრო სწრაფად შეიძინონ ბილეთები და ნაკლები დრო დახარჯონ მეტროპოლიტენით მგზავრობისათვის.

ხანძარი ვანის ქუჩაზე

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 29 აგვისტოს ხანძარი გაუჩნდა თბილისში, ვანის ქუჩაზე მდებარე „თელასის“ სახელოსნოებსა და სარდაფებს. ხანძრის გამომწვევი მიზეზები დგინდება.

ფოთში ბანდიტი დააპატიმრეს

ფოთში სიგნალი მიიღეს — თბილისის პირველ საგამოძიებო იზოლატორიდან გამოქცეული გრიგოლ მჭედლიძის ბანდა ფოთში იმალება და ახალ დანაშაულს ამზადებსო. შინაგან საქმეთა განყოფილების (უფროსი — პოლიციის პოლკოვნიკი თენგიზ მიქაძე) და კომენდატურის (კომენდანტი — პოლიციის პოლკოვნიკი — ოთარ ჩახუნაშვილი) მუშაკების თავგანწირული მეცადინეობით 24 აგვისტოს შეიპყრეს გრიგოლ მჭედლიძე, ამოიღეს 2 ავტომატი რვა მჭიდითა და 250 საბრძოლო ვაზნით, ერთი ხელყუმბარა, ერთი ყუმბარმტყორცნი, 7 ცალი ყუმბარით.

ბეგლარ ჩხაიძე,
„სრ“ საკ. კორ.

არავითარი ალქიმია

„იბერიის“ ცნობით, 30 აგვისტოს, თბილისის დიდუბის რაიონში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ერთ-ერთ საცხობში აღმოაჩინეს ოქროს გადასადნობი საამქრო, რომელშიც მოპარული ოქროს შემცველი რადიოდეტალებისა და მიკროსქემებისაგან ადნობდნენ მაღალი სინჯის ოქროს.

წარმოებისათვის საჭირო აზოტმჟავა და გოგირდმჟავა შემოჰქონდათ სომხეთის რესპუბლიკიდან, გადამდნარი უმაღლესი სინჯის ოქროს (99,6 სინჯის) ზოდებს ჰყიდდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, რის სანაცვლოდაც რესპუბლიკაში სარეალიზაციოდ შემოდიოდა ნარკოტიკული ნივთიერება — ოპიუმი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დაკავებულია ინჟინერი თეიმურაზ კორკოტაძე.

— თითქმის დაუჯერებელი —

სიზმრისეული შთაგონება

დღეს ძალიან ბევრზე გაიგონებთ — ხატვა დავიწყოო, სხვადასხვა ხელობის ადამიანთა ასე მასობრივად ხატვით გატაცებას მე ერთობ კრიტიკულად ვუყურებ, რადგან მათი შემოქმედების სახით უმეტესად საქმე გვაქვს „უშუალობისა და გულწრფელობის“ პრეტენზიით შექმნილ ნამუშევრებთან, შინაგანი აუცილებლობა რომ არ ბადებთ, უფრო გონების, შეძენილი ცოდნის, ერუდიციის ნაყოფია და ამდენად არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს არც ავტორისათვის და მით უმეტეს, ხელოვნებისათვის.

პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტმა გიორგი ნინიძემ ხატვა ორმოცი წლის ასაკში დაიწყო, მაგრამ თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ მასობრივად გატაცებულთაგან განსხვავებით მისმა ფერწერამ დამაინტერესა და მიმიზიდა შინაგანი ინტელექტით, ტექნიკური სიახლითა და ოსტატობით, ფორმისა და ფერის ესთეტიკური ღირებულებით. ნამდვილად გიჭირს იმის დაჯერება, რომ ასეთი შედეგის მისაღწევად მარტო ინტუიცია კმარა, იგი მრავალწლიან შრომას, შტუდირებას საჭიროებს, გიორგი ნინიძეს კი ამის საშუალება ნამდვილად არ ჰქონია, იგი ხომ მხოლოდ წელიწადნახევარია, რაც ხატავს. მართლაც იშვიათი და უჩვეულო ამბავია, მაგრამ უფრო უჩვეულო და თითქმის დაუჯერებელი ის არის, რასაც თვით ბატონი გიორგი გვიამბობს, თუ როგორ შემოიჭრა მხატვრობა მის ცხოვრებაში.

— ყველაფერი ორი წლის წინათ სიზმრით დაიწყო... გამოჩნდა, მეცხადა თეთრწვერიანი კაცი, რომელმაც მითხრა: „შენ უნდა დახატო!“

— როგორ უნდა დავხატო, როცა მე ხატვა არ ვიცი, — ვუპასუხე ხოლმე სიზმარში. ამგვარი დასიზმრება და მტანჯველი დიალოგი რამდენიმე თვე გაგრძელდა... მასობაში სახლში თანდათან შევიძინე საღებავები, ფუნჯები, ტილო, მოლბერტი... ძალიან გამიჭირდა პირველი ნამუშევრის შექმნა-დასრულება, თითქმის ორი კვირა მოვანდომე, რადგან არ ვიცოდი როგორ დამეწყო, როგორ წამეცხო ლაქები ზედაპირზე... მთელი ამ ხნის განმავლობაში მუდმივად ვგრძნობდი სიზმრისეული კაცის ჩემთან ყოფნას, თითქოს იგი იყო ჩემი წარმმართველი და ასე გრძელდება დღემდე, ყველა ნამუშევარში... დავამთავრე სურათი და არ ვიცი რა გამოვიდა, ისიც არ ვიცი, რა დავარქვა მას... მერე იგივე კაცი მოდის სიზმარში და მეუბნება: „ეს არის „მონპარნას-19“, სახლი, სადაც ცხოვრობდა მოდილიანი. — ასე დაიბადა ჩემი პირველი ტილო. მეორედ „მზესუმზირები“ დავხატე, მას მოჰყვა სხვა ნამუშევრები ტილოზე და ჭვალოზე.





გიორგი ნინიძე უკვე კარგად არის დაუფლებული ჭვალოზე ხატვის ტექნიკას და მისი ნამუშევრების უმეტესობა — უდავოდ საინტერესო პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, კომპოზიციები ასეა შექმნილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია: სერია „სიყვარული“, ფერწერული სურათები: „პაბლო“, „ნატურმორტი პალიტრით“, „ვაჟიშვილის პორტრეტი“, „ბერიკაცები“, „ჯამბაზი“, „თეთრი გიორგის ტაძარი“, „ციხისძირის მთა-გორაკები“ და სხვა, რომლებიც მდიდარი წარმოსახვებით, ნათელი განწყობილებით ავსებს მნახველს.

თავად მხატვარი არის უაღრესად საინტერესო პიროვნება — ერუდირებული, ფართო ინტერესების მქონე. მხატვრებიდან ყველაზე უფრო გოგენი, ვან გოგი, კაკაბაძე და იანქოშვილი უყვარს, გატაცებულია მუსიკითა და პოეზიით, ეთაყვანება გალაკტიონს, ფიქრობს ფერწერული სერიის შექმნას მისი პოეზიის თემებზე.

ხშირად წერენ და ლაპარაკობენ ბუნებაში არსებული ამოუხსნელი ფენომენების შესახებ, გიორგი ნინიძეზე ვერ ვილაპარაკებთ, როგორც გამოუცნობ მოვლენაზე, მიმაჩნია, რომ აქ შთაგონების ფენომენია უმთავრესი და წარმმართველი. შემოქმედთა „დემონების“ არსებობის შესახებ არაერთხელ გვსმენია. სოკრატე ხომ ამბობდა, რომ შემოქმედების პროცესში მას თავისი დემონი ელაპარაკება და ისიც მას უსმენს და მიჰყვება. ჩვენს შემთხვევაში, მხატვრის აზრით, სიზმარში მოვლენილი თეთრწვეროსანია მისი დემონი, იგი არის მისი გეზის მიმნიშნებელი, კარნახობს სურათის თემასაც და ტექნიკურ გადაწყვეტასაც. სოკრატეს ეს გამოთქმა, რა თქმა უნდა, ფიგურალურია — დემონი შინაგან ხმას ნიშნავს. სწორედ შინაგან ხმას მიჰყავს თავისი მიმართულებით შემოქმედი. ვნახოთ, რა გზით წაიყვანს შინაგანი ხმა-დემონი მხატვარ გიორგი ნინიძეს, ჯერჯერობით მხოლოდ ახლობელთა ვიწრო წრისათვის ცნობილს, მომავალში კი, ვინ იცის...

გიორგი ლალიაშვილი.

• • •

სურათებზე: გიორგი ნინიძე და მისი ნამუშევრები „პაბლო“ და „მზესუმზირები“.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ნებიერიძე — ევროპის ათეულში



ქალაქ ტიუმენში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი კულტურიზმში, რომელშიც მონაწილეობდნენ 32 სახელმწიფოს წარმომადგენლები. საქართველოს წარმოადგენდნენ ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი ზურაბ ნებიერიძე და მისი ტყუპი ძმა დავით ნებიერიძე. 90 კგ. წონით კატეგორიაში 35 სპორტსმენი მონაწილეობდა. ზურაბმა მერვე ადგილი დაიკავა, რაც მისი ასაკისათვის მნიშვნელოვანი შედეგია.

საქართველოს წარმომადგენლებს დახმარება გაუწია ბატონმა მურმან ომანიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

დიდი მადლობა გვინდა მოვახსენოთ საცურაო კომპლექს „ვერეს“ და ათლეტურ კლუბ „იტალონის“ დირექტორს ვლადიმერ გოიაშვილს იმისათვის, რომ იგი ყოველთვის იდგა და კვლავაც იდგება ქართველი კულტურისტების გვერდით.

საქართველოს წარმომადგენელს შეხვედრა ჰქონდა ბოდიბილდინგის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივან რაფაელ სანტანიასთან.

ჟაბუა მახარაძე.

●

სურათზე: ზურაბ ნებიერიძე.

— ეს ჩვენი საქართველოა! —

მობრძანდით, მასპინძლია ბათუმი!

ბათუმში ახლა ნამდვილი ზაფხულია... ზღვას, სიმშვიდესა და მზეს დანატრებულმა ხალხმა, განსაკუთრებით (აგვისტოს) დამდეგიდან მოაშურა აჭარის სანაპიროს.

თბილისელებით, ქუთაისელებით, თელაველებით, საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსული დამსვენებლებით გაივსო ბათუმის, ქობულეთის, მწვანე კონცხის, მახინჯაურის პლაჟები.

ჰოდა იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებაო, სწორედ ის არის, საქართველოს ნამდვილი გულისფეთქვა დღეს მართლაც ბათუმში იგრძნობა. იღიმებს, ძალებს იკრებს, ახალ სიცოცხლეს იწყებს ჩვენი ხალხი, ქვეყანა. სადღაც გამკრთა იმედის ჩაპერწკალი, სიყვარული, მხნეობა და ხალისი სულ უფრო მძლავრობს წუწუნზე, გაჭირვებაზე...

თუ გინდათ ეს ყველაფერი იგრძნოთ, ბათუმის ზღვისპირა პარკს უნდა ეწვიოთ.

მართლაც, წლეულს არნახული რამ მოხდა... 60 ათასამდე ქართველმა გამონახა შესაძლებლობა მოეშურებინა აჭარის სანაპიროსათვის. აჭარის ხელისუფლებამ, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ კარგი მასპინძლები ყოფილიყვნენ.

ასე რომ, სიკეთესა და სიხარულს წინ ვერაფერი დაუდგება...

გია ჭელიძე,
„სრ“ აჭარის ბიურო.

• • •



სურათებზე: ბათუმის პლაჟსა და ზღვისპირა პარკში.
ხეირან ბარონიანის ფოტო.

რას გვპირდება სექტემბერი?

სექტემბერი საქართველოსათვის ხასიათდება მშრალი და მოწმენდილი ამინდით, განსაკუთრებით საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილისათვის.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით წლეულს, სექტემბერში, ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან ახლოს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 1-დან 2 გრადუსამდე მასზე დაბალი.

თვის მეორე ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 10-14, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 6-11, საქართველოს მთიან რაიონებში 5-10, მაღალი მთის რაიონებში 0, +5 გრადუსამდე. თვის პირველ ნახევარში საქართველოს დაბლობ რაიონებში დღის ტემპერატურა აიწევს 25-29 გრადუსამდე, მაღალი მთის რაიონებში 16-21 გრადუსამდე.

ნალექი მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები.

თბილი ამინდი მცირე ნალექებით დასავლეთ საქართველოში ხელსაყრელ პირობებს შექმნის ჩაის ფოთლის კრეფის, სიმინდისა და ყურძნის მარცვლის შესავსებად.

აღმოსავლეთ საქართველოში, დაბალი ტემპერატურული რეჟიმის მიუხედავად, სითბო საკმაო იქნება ყურძნის დასამწიფებლად. მაგრამ ურწყავ მიწებზე ტენის სიმცირე საშემოდგომო მარცვლეული კულტურების დასათესად ნიადაგის მომზადებისათვის რთულ პირობებს შექმნის.

საქართველოს მდინარეთა წყლიანობა ნორმაზე დაბალია მოსალოდნელი, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში. წყალსაცავებში კი წყლის მოცულობა ნორმასთან გაცილებით ნაკლებია და შარშანდელთან შედარებით მხოლოდ ჯვრის წყალსაცავია მაქსიმალურად შევსებული.

ასე რომ, ენერგეტიკული კრიზისი კვლავ გრძელდება. აგვისტოში თბილისსა და ქუთაისში ჰაერის გაჭუჭყიანების დონე საშუალო მრავალწლიურის ფარგლებში იყო მაღალი და ექსტრემალურად მაღალი გაჭუჭყიანება არ აღინიშნულა.

ნ. ბერაძე,
საქართველოს „მთავარჰიდრომეტის“ უფროსი, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე.

— ისევ ჩვენს გაჭირვებაზე —

მოშუღარი ძაღლები

ბევრი დაწერილა უპატრონო, მაწანწალა ძაღლების შესახებ, მაგრამ ისინი მაინც მრავლდებიან. ეს პრობლემა ადრეც იდგა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ადამიანებს არაფრად მიაჩნიათ ძაღლების შენახვისა და ცოფით დაავადების გამაფრთხილებელ ღონისძიებათა შესრულება.

ადამიანი გაბოროტდა, თანდათან კარგავს ახლობლის, ნათესავის, მოყვასის შებრალების უნარს. რა გასაკვირია, რომ შინაური ცხოველისაც მხეცურად ეპყრობა. აბა, მხეცობაზე უარესი არ არის, როცა ბავშვისათვის გასართობად ყიდულობ ძვირადღირებულ ჯიშიან ძაღლს, მისი მოვლა-პატრონობისათვის კი ვერ იცლი? ძაღლს ჯაგრისით დავარცხნა, საპნით დაბანვა, განსაკუთრებული მენიუთი მომზადებული კერძი, და რაც მთავარია, სისტემატურად ჰაერზე გაყვანა, გასეირნება, მოძრაობა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ოთახებს, კიბის უჯრედებს, ლიფტებს სიბინძურით აავსებს და მეზობლები არ მოგეთმენენ. იმ დროს, როცა ვერ იცლით ბავშვის სწავლა-აღზრდისათვის, აბა, როგორ მოიცლით ძაღლის „ჭირვეულობის“ შესრულებისათვის? ბოლოს გამოსავალს პოულობთ და ძაღლს გარეთ აგდებთ: „არ გინდოდა ოჯახში ცხოვრება, საკვები ქუჩაში, ნაგავსა და სიბინძურეში ეძებე“. რა დააშავა ძაღლმა? არაფერი!

ოჯახსა და სკოლაშიც აღზრდის ფუნქციის დაკარგვამ ხელი შეუწყო ბავშვებში აგრესიულ გამოვლინებებს. მოზარდებს აღარ უყვართ წიგნები, სისუფთავე, წესრიგი, მოზრდილების წაბაძვით ანადგურებენ მწვანე ნარგავებს, ცეცხლს უკიდებენ ყველაფერს, რასაც მოეკიდება, მათ ძაღლის ქუჩაში გაგდება დანაშაულად, ბოროტებად არ მიაჩნიათ.

ძაღლის შერჩევას ცოდნა, ძაღლის ღირსებებსა და ხასიათის თავისებურებებს გათვალისწინება უნდა. მაგალითად, ინგლისური ჯიშის სტაფორდშირის ბულტერიერი კარგად ეწყობა ბავშვებს, მაგრამ ვერ იტანს სხვა ჯიშის ძაღლს, დაუმორჩილებელია, ჯიუტი ყეფითა და ყმუილით თავგამოდებით ებმება ძაღლებთან ბრძოლაში. ამიტომ აუცილებელია მისი თასმითა და პირბადით გამოყვანა-გასეირნება. თუ ძაღლის ღირსებები და ხასიათის თავისებურებები არ გაითვალისწინეთ, არ იფიქროთ, რომ თქვენ და მეზობლებს მშვიდი ცხოვრების პირობები გექნებათ. ხშირად მრავალსართულიან სახლებში გამოკეტილი ძაღლები გამუდმებული ყმუილითა და ყეფით მოსვენებას უკარგავენ ჯაფითა და ზრუნვით ისედაც დაზაფრულ ადამიანებს. შინაური ცხოველების სიყვარული და მზრუნველობა დასაგმობი როდია, მაგრამ ზოგიერთის გატაცება ქალაქში ძაღლებისა და კატების მოშენებით, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უხერხულიც არის. ძაღლი საკვებით არც ისე ადვილი დასაკმაყოფილებელი ყოფილა (როცა ხალხმა აღარ იცის როგორ დაიოკოს შიმშილი), მის რაციონში სისტემატურად უნდა იყოს საქონლის ხორცი, ძეხვეული, ტკბილეული, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის სურსათით მომარაგებაზე. და კიდევ, „კეთილ“ ადამიანებს გამოაქვთ სადილის ნარჩენები და სადარბაზოებში, გაზონებში, ეზოებში ძაღლებს „უშლიან სუფრას“, რითაც ბუზების მომრავლებას უწყობენ ხელს.

ნაგვით სავსე ეზოებში ძაღლები ერთმანეთს ეცილებიან. როგორც კი გამოჩნდება ნაგვის გამტანი მანქანა, ყეფითა და ყმუილით ისე ეკვეთებიან მანქანის მძღოლს, რომ კაბინიდან ველარ გამოდის. აქამდე თუ საწვავის უქონლობას იმიზეზებდნენ, ახლა ძაღლებს აბრალებენ ნაგვის გაუტანლობას. ასეთ სურათს თითქმის ყოველდღე ვხვდები და მაგონდება ხოლმე სულხან-საბას იგავი „მოშუღარი ძაღლები“, სადაც ნადავლს დახარბებული მოშუღარი ძაღლები მგლის გამოჩენაზე შუღლს ივიწყებენ და მისკენ გაენთებიან.

დღეს ძნელად აღმოაჩენ საცხოვრებელი სახლის ეზოს, სადაც ათი და მეტი, სხვადასხვა ჯიშის უპატრონო, მაწანწალა ძაღლი არ იყოს. ზოგჯერ ისე დაერევიან, ერთმანეთს არ ინდობენ. ის კი არადა, სადარბაზოებში ძაღლების შიშით ახლობლებს სტუმრად მოსვლა ეშინიათ. ძაღლებზე „ნადირობას“ არ მოვითხოვთ, მაგრამ იქნებ ბიზნესმენებმა მოახერხონ უპატრონო ძაღლების ტყავით გალანტერეის ისეთი საგნების დამზადება, რაც ასე დეფიციტური და ძვირადღირებულია. ეს ხომ დიდ კაპდაბანდებას არ მოითხოვს! მახსოვს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ძაღლის ქონს საპნის დასამზადებლადაც კი იყენებდნენ. თუმცა, რა, განა ახლა ვიცით უცხოეთში საპნებს, განსაკუთრებით ინდურს, რისგან ამზადებენ?

შეიძლება ერთგვარად უხერხულიც კი იყოს მუდამ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ვითარება გვაიძულებს კვლავ შევეხოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავაკანონოთ: თბილისში ძაღლების შენახვის წესით ვეტსამკურნალო უნდა დაინტერესდეს. ვეტსამკურნალოში ყოველი წლის პირველ კვარტალში პატრონებმა რეგისტრაციაში უნდა გაატარონ თავიანთი ძაღლები სათანადო ცნობისა და ყელზე ჩამოსაკიდი ნომრის მისაღებად.

უნდა აიკრძალოს რეგისტრაციაში გაუტარებელი, ვეტერინარულად შეუმოწმებელი, აუცრელი და დაუბმელი ძაღლების ყოლა, გასაჩუქრება და ყიდვა-გაყიდვა.

მოხეტიალედ უნდა ჩაითვალოს ყველა ძაღლი, ჯიშის, დანიშნულებისა და კუთვნილების მიუხედავად, რომელიც უპირბადოდ, უნომროდ და უპატრონოდ გამოჩნდება ქუჩაში, ეზოში, სკვერში, გაზონში.

აუცილებლად უნდა დაწესდეს გადასახადი ძაღლების პატრონებზე. ამით შევაჩერებთ ძაღლების მომრავლებას, უპატრონო, მაწანწალა და ცოფიანი ძაღლების რაოდენობას კი შევამცირებთ.

გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ უპატრონო, მაწანწალა ძაღლები თავისით გაქრებიან, რომ თბილისში ძაღლების შენახვისა და ცოფით დაავადების გამაფრთხილებელი ღონისძიებები თვითდინებით შესრულდება, რომ ნაკლოვანებათა გამოსწორებას მხოლოდ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორები და ვეტერინარული სამსახური აუვა. გაცილებით მეტს დავკარგავთ, თუ ამ საქმეში უახლოეს ხანში გარდატეხა არ მოხდა.

ოთარ თოლორაია.

ხსოვნა

სოლომონ იაშვილი

92 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ლოტბარი, საზოგადო მოღვაწე **სოლომონ გიორგის ძე იაშვილი.** იგი დაიბადა 1902 წელს ხაშურის რაიონის სოფელ ბეკამში. ჯერ კიდევ ხაშურის სკოლაში სწავლისას შექმნა სიმღერის ანსამბლი და შემდეგ მთელი სიცოცხლე ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის სამსახურში იდგა. მის სახელთან არის დაკავშირებული ხალხური სიმღერის ანსამბლებისა და გუნდების ჩამოყალიბება ბორჯომში, ხაშურში, ახალციხეში, ასპინძასა და სხვა რაიონებში. მისმა ანსამბლებმა პოპულარობა მოიპოვეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. ათეული წლების მანძილზე ს. იაშვილი სასწავლო დაწესებულებებშიც მოღვაწეობდა.

ქართული ხალხური შემოქმედების განვითარების საქმეში თვალსაჩინო მიღწევებისათვის ს. იაშვილი დაჯილდოვდა მთავრობის ჯილდოებითა და პრემიებით. 1966 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ს. იაშვილის, როგორც უანგარო, თავდადებული პიროვნების, ქართული ხალხური მუსიკის მოამაგის, ღირსეული ქართველი კაცის სახელი სამუდამოთ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს ხსოვნაში.

საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს მუსიკალური საზოგადოება, ხალხური შემოქმედებისა და კულტურის რესპუბლიკური ცენტრი.

გახსენება

ბორის არდაშელია

უშენოდ გავლილი ერთი წელიწადი დამთრგუნველი, დამამცირებელი, წამების და ჭვარცმის, ლოდინის, იმედგაცრუების წელიწადი იყო, რომელიც ორმაგად მძიმე და შემაძრწუნებელი გახდა იმათთვის, ვინც ახლობელი დაკარგა. შენი დაღუპვა მძიმე დანაკარგი იყო შენი რაიონისათვის, გალის რაიონის საზოგადოებრიობამ იცის ამ დანაკარგის ფასი — მათ ავ-კარგს შენ ხომ 35 წელიწადს ითავისებდი.

შენი ტრაგიკული დაღუპვიდან ერთი თვის შემდეგ დავტოვეთ სოხუმი — დაცემული, ჭვარცმული სოხუმი. არ მშორდება შენი შეშფოთებული სახე. აფხაზურ-ქართულ კონფლიქტს ორივე მხარის ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნევდი და მის უმძიმეს შედეგებს თვალნათლივ ხედავდი. იმ მომენტში მიგვატოვე, როცა შენი ბრძნული რჩევა გვჭირდებოდა.

შენი ტრაგიკული დასასრულით ერთხელ კიდევ დაამტკიცე, რომ პატიოსნებისა და ზოგადკაცობრიული იდეის ერთგული იყავი და ამ ფენომენს საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა აყენებდი.

ვინც შენ გიცნობდა, სამუდამოდ დაამახსოვრდა შენი ადამიანური სითბო და მომხიბვლელობა. მინდა შენი სიტყვები გავიმეორო — საქართველო გამოვა მძიმე კრიზისიდან, უაფხაზეთო საქართველოს ღმერთიც არ დაუშვებსო. მე კი იმ იმედით ვსულდგმულობ, ჩემო ძვირფასო ძმაო, რომ შენს ამჟამად უპატრონო საფლავს ხულ მალე სითბო, ცრემლები, სიყვარული და აფხაზეთის ყვავილები არ მოაკლდება.

შენი და ნუცა არდაშელია, ვაჟი დათო.

გაერთიანება „სპეცრემდიზაინ“-ის კოლექტივი იუწყება ასოციაცია „ინტერდიზაინმშენის“ ვიცე-პრეზიდენტის ვახტანგ გეორხელიძის მამის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის
დავით გეორხელიძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის, დღისა და დაუსწრებელი განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე (ქართულ და რუსულ სექტორზე):

ისტორია; ჟურნალისტიკა;
იურიდისპრუდენცია; ფილოლოგია; უცხო ენები;
კომერციული საქმიანობის მენეჯერი;
ფულის მიმოქცევა და საგადასახადო საქმიანობა;
საბუღალტრო აღრიცხვა;
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლებამიღებული მოქალაქენი.

გამოცდები გაიმართება შემდეგ საგნებში:

ისტორიის, ჟურნალისტიკის, ფილოლოგის, უცხო ენების სპეციალობებზე: *საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).*

იურიდიულ ფაკულტეტზე: *სამართალმცოდნეობა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი);*

ეკონომიკურ ფაკულტეტზე: *მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).*

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. სწავლის ღირებულება ყოველწლიურად 50 (ორმოცდაათი) ამერიკული დოლარია. თანხის გადახდა წარმოებს ნაღდი ანგარიშით.

მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის აბიტურიენტებმა წინასწარ უნდა გადაიხადონ 5000 რუსული მანეთი.

აბიტურიენტებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

საშუალო განათლების მოწმობა (დედანი); სამედიცინო ცნობა (ფორმა №086); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6 ფოტოსურათი (3X4).

საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე 25 სექტემბრის ჩათვლით 12-დან 17 საათამდე.

გამოცდები ჩატარდება 25 სექტემბრიდან, ჩარიცხვა დამთავრდება 30 სექტემბერს, სწავლა დაიწყება 3 ოქტომბერს.

ჩვენი მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. №50,
161-ე საშუალო სკოლის შენობა,
ტელ. 37-62-43.
მეტრო „პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან“
(შრომის სასახლის მიმდებარე ტერიტორია).

[illegible]
რუსეთის წარმოების მაღალი წნევის პოლიეთილენის გრანულს (კროშკას).
☎ *38-89-70 (საღამოს)*

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის განცხადება

1994 წლის 30 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრის განცხადება, სადაც ნათქვამია: თითქოს ბატონ ვახტანგ გოგუაძეს, რესპუბლიკის გენერალური პროკურორისათვის ეთხოვოს ედპ-ზე რაიმე მაკომპრომენტირებელი მასალების მიწოდება.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს, არც გენერალურ პროკურორთან და არც მის მოადგილეებთან აღნიშნულ თემაზე საუბარი არ ყოფილა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ედპ-ის პრესცენტრი შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინებს ჩვენს ამ შენიშვნას და საზოგადოებას შემოწმებულ, ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.
ინდექსი 6644